საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 23 აპრილი, 1920

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი ნონპარელის სტრიქონი 5 მანეთი. [illegible] 4 მან. [illegible] განცხადება [illegible] 15X2 სტრიქონის [illegible] 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ იბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: გრიბოედოვის ქ. 6, [illegible] საათები 12—[illegible]. ტელეფონი 16—[illegible]

№ 90 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 90

გაუბედურებულნი და ღრმა მწუხარებით მოცულნი: მეუღლე ნიკიფორე (ნიკო) დავითის ძე ლეკიშვილი, შვილები: ნადეჟდა (ნუცა), ლავრენტი, პაჭურა და მიშიკო, მაზლები: ვლადიმერი, ნესტორი, ილიკო და პლატონი, რძლები: ელენე, ლიზა და ოლია, მაზლის წულები: ლონი, თეო, სერგო, ვანო და საშა ლეკიშვილები, დედა ეფროსინე და ძმა ალექსანდრე ჯინჭარაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი და უსაყვარლესი

ოლღა თომა ჯინჭარაძის ასული ლეკიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, 23 აპრილს (ახ. სტ.) გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან დ. ჭრებალოდან, დასაფლავება ს. ქვეიშის ადგილობრივ სასაფლაოზე.

ილიკო, იუსტი და სალომე ფრუიძეები ჩვენს გამოუთქმელ მწუხარებას უზიარებენ ქრისტეფორეს უღრმეს მწუხარებას

ოლღა თომა ჯინჭარაძის ასულის ლეკიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდება დღეს, 23 აპრილს. დაასაფლავებენ სოფ. ქვეიშის ადგილობრივ სასაფლაოზე.

უღრმეს მწუხარებასა შინა მყოფნი: ელია, თამარა და არონა მოძღვრიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, ჯერ კიდევ სიცოცხლით აღსავსე მეგობარი ქალი

ოლღა თომა ჯინჭარაძის ასული ლეკიშვილისა

გამოსვენება მოხდება დღეს 23 აპრილს დაბა ჭრებალოდან, დასაფლავება ს. ქვეიშის ადგილობრივ სასაფლაოზე. (1361 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი სპირიდონ ოქრიას ძე ზუბულიძე ცოლშვილით და დომენტი ოქრიას ძე ზუბულიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ოლღა ლეკიშვილისა

(1363 1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს
აგრარულ რეფორმათა განყოფილება იწვევს მსურველთ
სარაიონო კომისიის მდივნად
თფილისის მაზრაში. მდივნებს ეძლევათ ძირითადი ჯამაგირი 3000 მან. პროც. დამატებით 1050 მან. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: 1) რა განათლებისაა (ცენზი). 2) წინანდელი სამსახური და 3) პროფესია. ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები. (ნ. 3—1)

პარიზიდან ჩამოსული ვაჭარი ყიდულობს ძვირფას ნივთებს, **ბრილიანტებს, მარგალიტებს, ზურმუხტს** და სხვ. მსურველს შეუძლია მიმართონ ი. კ. ყაუხჩევს, გრიბოედოვის ქ. № 2, სადგილ-მამულო ბანკი, ყოველდღე დილის 10—1 საათ. (1359 3—1)

გამოვიდა და იყიდება წიგნი
„რევოლიუციის ტალღებში“
ისტორიული პიესა 3 მოქ. და 6 სურათად ი. ირემაშვილისა. მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ კანტორა „განათლებაში“ და ქართ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. წიგნი ღირს 50 მანეთი. (ნ. 3—3)

ცირკი
„იპოდრომი“
(ყოფილ ძმ. ეფიმოვებისა) პლეხანოვის პროსპექტი მუშტაიდის მახლობლად.
პარასკევს 23, შაბათს 24 აპრილს შესდგება
დიდი
წარმოდგენა
3 განყოფილებათ. 17 საუკეთესო ნომერი. რუსეთის ცირკის სიამაყის **ანატოლი დუროვის** გასტროლების გაგრძელება. დღეს—ბევრი ენამახვილობაა და კალამბურები! სიცილი! სატირა! იუმორი! სოლო—რიჟის ბ. გარრის გასტროლი, თფილისის კინტოს მიმბაძველი ბ. ლევანსკის გასტროლი, აგრეთვე მონაწილეობს მთელი ტრუპის შემადგენლობა: დირექცია: ს. ნ. ქუთათელაძე და ლუის ბუფერალო. ადმინისტრატორი ი. პ. ივანოვი. (1362—1—1)

საბჭოთა რუსეთი და ევროპა

ბოლშევიკები „ჭკვიანდებიან“. გუშინდელ წერილში ჩვენ დავინახეთ, რომ მუშათა საკითხში მათი „მოჭკვიანება“ ისე შორს მიდის, რომ მათ კომუნიზმის სახელით მუშათა მონობა შემოიღეს: აწყობენ „შრომის მილიტარიზაციას“, სამუშაო დროის უზომოდ აგრძელებენ, მუშებს ართმევენ ყოველ დღესასწაულს, ყოველ შვებულების დღეს.

ამასთანავე გადამეტებულ და საზღვარს გადასულ „მოჭკვიანებას“ იჩენენ ბოლშევიკები გარეშე პოლიტიკაშიაც. ის ხალხი, რომელიც ორი წლის წინათ ქვეყანას აყრუებდა: ყვიროდით „საიდუმლო დიპლომატიის“ მოსპობაზე და „აშკარა დიპლომატიის“ საჭიროებაზე, დღეს თვითონ ეწევა იმისთანა ვერაგულ საიდუმლო დიპლომატიას, რომელიც იმპერიალისტების დიპლომატიაზე უფრო შორს მიდის და თავის მუხანათობით აბდულ-ჰამიდის საგარეო პოლიტიკას მოგვაგონებს.

მოგეხსენებათ, რომ ყოველი ბოლშევიკური მოწოდება, ყოველი მათი დეკრეტი, ყოველი მათი მოწინავე, რომელიც საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთა წასაკითხად არის დაწერილი, შეურიგებელ ომს უცხადებს ევროპის სახელმწიფოებს და მათ განადგურებას აღიარებს „კომუნისტური“ პარტიის მიზნათ. არავითარი კომპრომისი, არავითარი მოლაპარაკება, არავითარი შერიგება ევროპის კაპიტალიზმთან!—აი ყველა მათი დედააზრი და ამავე დროს საბჭოთა რუსეთი აწარმოებს საიდუმლო მიწერ-მოწერას სწორედ იმ სახელმწიფოსთან, რომელიც დღეს ევროპის სახელმწიფოთა კონცერტის სათავეში დგას. უცნობ რადიო სადგურიდან დაჭერილი რადიო ცნობის ნაგლეჯი აშკარად ხდის, რომ საბჭოთა რუსეთს ინგლისთან გამართული აქვს ენერგიული დიპლომატიური მოლაპარაკება და რომ მოლაპარაკების კილო სრულებითაც არ არის მტრული და შეურიგებელი. გარეშე საქმეთა კომისარი ბ. ჩიჩერინი, რომელიც თავის ნოტებში საქართველოსადმი მეტს ატეხს მას ინგლისთან კეთილგანწყობილების გამო, თვითონ „თანაგრძნობს ინგლისის მთავრობის მოწოდებას ლმობიერებისადმი“ და საბჭოთა რუსეთის სახელით ამნაირ თავაზიან სტრიქონებს უგზავნის ლორდ კერზონს: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს მოლაპარაკება მოგვცემს სასურველ შედეგებს, რომელიც რუსეთისა და ინგლისისათვის სასარგებლო იქნება“.

როგორც ამ რადიო ცნობის ნაგლეჯიდან ჩანს, ინგლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკება სწარმოებს; ის კილო, რომლითაც ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ელაპარაკება, იმედს იძლევა, რომ მოლაპარაკება დამთავრდება მათ შორის შეთანხმებით. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ საბჭოთა რუსეთის მორიგება ევროპასთან ჩვენ სასურველად და დადებით მოვლენად მიგვაჩნია. ეს ერთის მხრით ხელს შეუწყობს იმ საშინელ კრიზისის განელებას, რომელიც მთელს მსოფლიოს თავს დატყდა და რომელიც ანადგურებს და უკან სწევს გზაზე აყენებს დემოკრატიის საქმეს. მეორეს მხრით, ეს მორიგება, ეგვე არ არის, ხელს შეუწყობს ბოლშევიზმის „მოშინაურებას“, ევროპისაკენ გადახრილი რუსეთს, აზიის ჩამოშორებას და კულტურის გზაზე დაბრუნებას მას; ამასთან ერთად რუსეთში გაძლიერდება ის „მესამე ძალა“, დემოკრატია, რომელიც მშვიდობიანად გაცურავს რუსეთის სახელმწიფოს გემს ლენინური რეაქციის წყალსა და კომუნისტური ანარქიის მეწყერს შუა.

კერძოთ ჩვენი რესპუბლიკისათვისაც ძლიერ ხელსაყრელი იქნებოდა ბოლშევიკების ასეთი „მოშინაურება“. საბჭოთა რუსეთის შერიგება „ანტანტის“ სახელმწიფოებთან შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ბოლშევიკები თანახმა გახდებიან ხელი აიღონ მოუსვენარ თავდასხმითს პოლიტიკაზე, თუ ისინი პატივისცემით მოეპყრობიან და ანგარიშს გაუწევენ „ანტანტის“ სახელმწიფოების მიერ მიღებულ გეგმებს და გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სახელმწიფოების საკითხებში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობაც შედის ევროპიულ კონცერტის გეგმაში და იგი არავის დაუთმობს ამ თავის გადაწყვეტილების ფეხქვეშ გათელვას და თავის გეგმების წაშლას. ბოლშევიზმის ევროპასთან შერიგება, მაშასადამე, იმის მოასწავებელი იქნება, რომ მან თავი უნდა მიანებოს თავის ბაქი-ბუქს საქართველოს წინააღმდეგ, უნდა დასტოვოს თავისი თავდასხმითი განზრახვები და უნდა დასთანხმდეს საქართველოსთან მშვიდობიან მეზობლობაზე. და ჩვენი რესპუბლიკაც ხომ ამის მეტს არას მოითხოვს საბჭოთა რუსეთის მესვეურთაგან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„ხაზეინები“.

ამ სათაურით ერევნის გაზეთ „ჰარაჯი“ (№ 72) მეთაურში, სხვათა შორის შემდეგს სწერს:

„როგორც ვიცით, რუს—მოხალისეთა დამარცხებული ჯარების დარჩენილი ნაწილები შემოვიდნენ თავის შესაფარებლად საქართველოში და აზერბეიჯანში.

შემოდიან ჯგუფობით აგრეთვე სომხეთშიაც.

„სომხეთის კარები მუდამ ღიაა რუსის კაცის წინაშე, რადგან დიდ რუსის ხალხს ვთვლით სომეხ ხალხის მეგობრად. რუსს, სომხეთში შემოსულს, ვუყურებთ როგორც იმ ხალხის შვილს, რომელთანაც ერთად სომეხ ხალხს მთელი საუკუნეები ისტორიის საერთო გზით და რომლისადმი, გარდა მეგობრულ გრძნობისა, სხვა გრძნობა არა აქვს. სომეხი ხალხი—თვითონ მშიერი, არ დაზოგავს გაუყოს თავისი უკანასკნელი ლუკმა იმათ, რომლებიც გვესტუმრებიან ჩვენ ნორჩ რესპუბლიკაში, მაგრამ იმ პირობით, რომ უცხოელთაგან მისულმა სტუმარმა პატივი სცეს ჩვენი ხალხის სუვერენულ უფლებებს—ესე იგი, სომხეთის დამოუკიდებლობას. ეს ელემენტარული, ნათელი სიმართლე, როგორც ჩანს, არ ესმით რუს მოხალისეთა ჯარებიდან თავშესაფარად მოსულ ზოგიერთ სტუმრებს.

„ამ რამდენიმე დღის წინად რუსი მხედარის დამხმარე ამხანაგობის მიერ „ნაშა ჩაის“ გახსნისას დამსწრე ოფიცრებიდან რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. სთქვეს, რომ მოსულან სომხეთში, როგორც თავიანთ ქვეყანაში, რომ სომხეთი თავიანთი სახლია, და სვამენ მოხალისეთა ჯარის მე 9 დივიზიის, ესე იგი, სომხური ჯარის ოფიცრების სადღეგრძელოს.

„სომხეთის დამოუკიდებლობის გამოქვეყნების შემდეგ იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ადვოკატობას უწევდნენ რუსეთს და იცავდნენ მის უფლებას ამიერ-კავკასიაზე და განსაკუთრებით სომხეთზე, რადგან ეს უფლება გამომდინარეობს, მათი სიტყვით, იმ სისხლიდან, რომელიც დაღვრია რუსეთს ამიერ-კავკასიის დასაპყრობად.

„მაგრამ ამ ჯენტლმენებს ავიწყდებათ ის, რომ სომეხ ხალხს თავის სამშობლოს დასაპატრონებლად მეტი სისხლი დაუღვრია, ვიდრე რუსეთს, და უკეთუ რუსეთს უფლება ჰქონდა სომხეთზე 1918 წლამდე, ამის შემდეგ ეს უფლება დაეკარგა იმ უკანასკნელ რუს მხედართან ერთად, რომელმაც დატოვა კავკასიის ფრონტი და წავიდა სომხეთიდან.

„მარტოთ დატოვებული, თავის ძალების ამარა, სომეხმა ხალხმა გაუძლო დიდ ბრძოლებს, აურიცხელ მსხვერპლის ფასით ხელთ იგდო თავის ბედის მოწესრიგება, რომელსაც არავის დაუთმობს.

„ეს ნათელი სიმართლე დღეს კარგათ ისმინონ იმათ, რომლებიც ჩვენს ქვეყანას სტუმრებათ მიუღია, მაგრამ რომლებიც ცდილობენ შემოვიდნენ როგორც „ხაზეინები“—პატრონები“.

ვის უნდა ვირჩევდეთ?

(პარტიული ყრილობის გამო).

ჩვენი პარტიული ყრილობის სამზადისმა ჩვენში აღძრა ძველი, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ახალი კითხვა. ვის უნდა ავირჩიოთ დელეგატებად პარტიულ ყრილობებზე კონფერენციებზე და ზოგადათ ვის უნდა ვირჩევდეთ პარტიის საკანონმდებლო და ხელმძღვანელ დაწესებულებებში?

კი არ იფიქროთ, ამხანაგო მკითხველო, რომ ეს კითხვა ამ ჟამად მე იმიტომ გამომაქვს პარტიულ ორგანოში, რადგან მომავალი ჩვენი ყრილობა განსაკუთრებით საჭიროა მაზედ წარმოდგენილი იყოს რესპუბლიკის ყველა მხრიდან ნაღები ჩვენი პარტიისა; არა, ის, რასაც მე ქვევით ვიტყვი, საჭიროთ მომინია დაცულ იქნეს ყოველთვის და ყველგან ჩვენი პარტიის საორგანიზაციო წყობაში, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ჩვენს პარტიას წლებით ხელთ ქვეყნის მეთაურობა, კიდევ მეტი: ჩვენ პარტიას ისტორიამ თავს მოახვია ქვეყნის აშენება არარაობიდგან.

პარტიული ყრილობები იმუშავებენ თავიანთ პროგრამებს, აწყობენ ახალ თეზებს შემდეგში, იმუშავებენ წესდებას, არჩევენ ღდიურ კითხვებს და გამოაქვთ მათ შესახებ რეზოლიუციები: პარტიული ყრილობები აფასებენ მომენტს და აქედან იმუშავებენ პარტიის მოქმედების ტაქტიკას (რაც ჩვენში უდრის ერის ტაქტიკას, ერის პოლიტიკას), აძლევენ სახელმწიფოს ფარგლებში არსებულ ორგანიზაციებში მომუშავე ამხანაგებს დირექტივებს და სხვადასხვა. შემდეგ, პარტიული კომიტეტები, დაწყებული ცენტრალური კომიტეტით და გათავებული სოფლად არსებულ მცირე კოლექტივით, უძღვებიან პარტიულ ყრილობათა დადგენილებებსა და დირექტივებს, ამ პოზიციიდან გამოდიან და ხელმძღვანელობას უწევენ პარტიულ მოძრაობას. აქედან ცხადია, რომ პარტიულ ყრილობის და კომიტეტების შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ მოძრაობის ისტორიაში, საზოგადოთ პარტიის ცხოვრებაში. რამდენათ პარტიის დაწესებულება შესდგება პარტიის მოძღვრებაში და მოძრაობაში გამოწრთობილ-გამოცდილ მუშაკთაგან, იმდენათ სწორე იქნება მისი დადგენილებები და მოქმედება, როგორც მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, აგრეთვე იმ დროისა და ადგილის მიხედვით, როცა და სადაც სწარმოებს ეს მოქმედება, ვინაიდან მარქსიზმიც სწორედ დროისა და ადგილის მიხედვით უდგება ყოველსავე კითხვას. მაგრამ თუ პარტიულ დაწესებულებებში ბლომად მოხვდება შემთხვევითი ელემენტები, მაშინ რეზოლიუციებსაც, დირექტივებსაც და ხელმძღვანელობასაც შემთხვევითი და არა მარქსისტული ხასიათი მიეცემა, ეს დაამახინჯებს პარტიის მოქმედება ცხოვრებას, ძირს გამოუთხრის პარტიასაც და იმ კლასსაც, რომლის ინტერესებსაც პარტია გამოხატავს, ე. ი. პროლეტარიატის ინტერესებს. ჩვენში ეს ძირს გამოუთხრიდა ერის ინტერესებსაც.

მართალია, რომ კეთილ-გონიერათ შეკავშირებულ, მტკიცე და სალ ნიადაგზე მდგარ სოციალისტურ პარტიებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პარტიულ წარმომადგენლობას. ასეთ პარტიაში წარმოუდგენელია პარტიულ დაწესებულებაში, თუნდაც ის მცირე იყოს, შემთხვევითი ელემენტი. დიდი ხანი უნდა მუშაობდეს პარტიაში ესა თუ ის პირი, ბევრი წლების ხანმდევრობაში უნდა ჰქონდეს დამტკიცებული, რომ ის ბუნებრივათ მტკიცედ შეთვისებია პარტიულ მოძღვრებას, ერთგული პატრიოტია პარტიისა, მზადაა თავი დასდვას პარტიისათვის და სხვადასხვა, რომ პროლეტარიატის პარტიის წარმომადგენლის წოდება მიიღოს, რომ პარტიულ ორგანიზაციის მანდატი ჩაიბაროს. ჰკითხე, ამხანაგო მკითხველო, ყველას ვინც გერმანიაში ყოფილა, და ის გაგიზიარებთ თავის შთაბეჭდილებას: როცა პირველათ შეხვალ იქ პარტიულ კრებაზე, გეგონება მოხუცთა შეკრებილებას წავაწყდიო. მარქსის და დიდი ორგანიზატორ ბებელის თანამებრძოლნი ჩვენი ამხანაგები არ აძლევენ თავის ხელმძღვანელობას, თავის პარტიის კანონების შედგენას სხვას, თუ არ პარტიის თანშეზრდილთ. განსაკუთრებული ნიჭის და მოქმედების ისტორია უნდა ჰქონდეს იქ ახალგაზრდას, რომ პარტიის ბედის მესაჭეთა შორის დაიყენონ.

სამწუხაროთ ასეა არაა ჩვენში. ჩვენში საკმარისია ერთი მომენტი, ერთი გამოსვლა, ცალკე შემთხვევაში თავის გამოჩენა, რომ პარტიულ წლოვანებისა და წარსულის მიუხედავად სრულიად ახალგაზრდა არჩეულ იქმნას არა მარტო „იაჩეიკაში“, ან მცირე კოლექტივში, არამედ პარტიულ კომიტეტში და პარტიულ საკანონმდებლო ყრილობაზედაც. ჩვენში არ ვიცით აგრეთვე ისტორიის დაწვრილებით ხშირია, რომ ამხანაგს რამდენჯერმე გამოუჩენია რყევა და პარტიულ მოძღვრების ღალატიც კი იმის და მიხედვით, თუ როგორი მომენტში და პირობებში ცხოვრობდა, ზოგი გაჭირვების დროს გვტოვებდა და დაბრუნებისას მოდიოდა, მაგრამ ამისდამიუხედავად შემდეგ საპასუხისმგებლო პოსტზე წამოუყენებიათ, საპატიო პარტიული მანდატი მიუციათ, კიდევ მეტი, ხშირათ შეხვდებით ჩვენში, პარტიულ დაწესებულებაში სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელ და პარტიულათ გაუწვრთნელ ამხანაგს. და რა გასაკვირველი იქნებოდა, რომ ასეთების ხელმძღვანელობას ვერ დაეკმაყოფილებინა პარტიული მასსა. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით გაუგებრობას ადგილი იშვიათად ჰქონია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ, სადაც ასეთი ელემენტები არიან, იქ გამოცდილ მუშაკებს საქმე აქვს გაჭირვებული; იქ მათ გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგია სჭირდებათ, რომ პარტიას აცდინონ გაუგებრობა, ხშირათ თავის საკუთარ ნერვების და მაშასადამე ჯანმრთელობის ხარჯზე.

ზოგიერთი პროვინციალური ორგანიზაციები ყრილობას კიდევ უფრო იოლად უყურებენ, ვიდრე კომიტეტებს, და ხშირათ აგზავნიან იქ ისეთს, რომელიც ადგილობრივ მუშაობას არ აკლდება. კიდევ მეტი; ხშირათ ხარჯის შესამოკლებლათაც მანდატს უგზავნიან თფილისში მყოფ ორგანიზაციის წევრს, თუნდაც მოწვეულს. ვინც ჩვენ წინა ყრილობაზე იყო ალბათ გაიხსენებს ახალგაზრდა მოწაფეთა ორიოდ სქესისას, რომლითაც ზოგმა ორგანიზაციამ მიანდო მომენტის დაფასება და პარტიულ პოლიტიკის გამომუშავება, დამფუძნებელ კრების კანდიდატთა სიის შედგენა და სხვა საპირობისტო კითხვებზე პარტიისათვის დირექტივების მიცემა, რომელ დირექტივებზედაც უნდა ემუშავნათ ნ. ჟორდანიას, ს. ჯიბლაძეს, ი. რამიშვილს, ნ. რამიშვილს და მთელ პარტიას, აქედან ქართველ ერს. ვიმეორებ, სამწუხაროთ ასეთი ელემენტები იქაც ყრილობის ისეთ საგრძნობ ნაწილს არ შეადგენდა, რომ მის მუშაობაზე გავლენა მოეხდინა, ისინი მხოლოდ მუშაობის შეფერხებას თუ შეძლებდნენ, კერძო შემთხვევაში (ცალკე კითხვაში), მაგრამ ესეც დიდია, ერთი მხრით და მეორე მხრით, თუ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, ისიც კი შეიძლება, რომ შემთხვევით ელემენტები შემთხვევით უმრავლესობათაც გადაიქცნენ ამა თუ იმ ადგილზე.

ზ. დათიაშვილი.

პირველი მაისისათვის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ამხანაგებო, მოქალაქენო!

გვიახლოვდება პირველი მაისი. გვიახლოვდება მუშათა დღესასწაული. ცენტრალური კომისია უკვე მუშაობს, მაგრამ მარტო ის ვერას გახდება, თუ ყველა ამხანაგები არ დაგვეხმარა.

ამიტომ მოვაგონებთ ყველა კავშირებს, ყველა რაიონებს, ყველა ამხანაგებს, დიდსა და პატარას აქედანვე შეუდგნენ მუშაობა მზადებას. პირველი მაისი საერთაშორისო მშრომელთა დღესასწაულია. ამ დღეს მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი ერთსულოვნად, მწყობრად გამოდის ქუჩაში. ჩვენც ამ საერთო ფერხულში ერთი საუკეთესო ადგილი უნდა დავიჭიროთ. პირველ მაისს უნდა მივცეთ დიდი ორგანიზაციული, დისციპლინიანური ხასიათი.

ამხანაგებო! პირველ მაისს თვითმპყრობელურ ქვეყნებშიაც დიდის ამბით დღესასწაულობენ.. ჩვენც არა ერთი და ორი წლობით ციხე ციმბირი გვიგემნია პირველი მაისის დღესასწაულობისათვის.. დიდია, საყურადღებოა ამ დღის მნიშვნელობა, ხილიადე, ლოზუნგი. პირველი მაისის ლოზუნგმა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ლოზუნგმა მოგვცა ჩვენ რუსეთის დიდი რევოლიუცია. მოგვცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მოგვცა დამოუკიდებლობა.

რაც უნდა გაჭირვებში ვიყოთ, რაც უნდა გვშიოდეს და გვწყუროდეს, ამ დღეს ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და ყველამ მივიღოთ მონაწილეობა პირველ მაისის დემონსტრაციაში.

ამხანაგებო, მუშებო, მშრომელნო!

ემზადეთ პირველი მაისისათვის. არ დარჩეთ არავინ სახლში. ამ დღეს დემონსტრაციის გარეშე დარჩენა ღალატია საერთო საქმისათვის.

პირველ მაისს, ჩვეულებრივზე მეტად ჩვეულებრივ ენერგიაზე უფრო მძლავრად უნდა ავწიოთ წითელი დროშა,—ემბლემა სოციალიზმისა.

ცენტრალურმა სამაისო კომისიამ შეიმუშავა შემდეგი პროგრამა დღესასწაულისა:

1) დილით ადრე 6—7 საათზე მუშათა უბნებში მორთული ავტომობილით, ან ქვეითად ქუჩებში ჩამოვლა მუსიკით და პლაკატებით და მოქალაქეთათვის უწყება, რომ დღეს მუშათა დიდი დღესასწაულია. ასეთ გამოსვლას რაიონები თვითონ აწყობენ.

2) დილის რვა საათიდან ამხანაგები იკრიბებიან თავიანთ რაიონებში, კავ-

დღე

სან-რემოს კონფერენციაზე, ფრანგული ცნობით, დაიწყო ბათომის საკითხის განხილვა. კონფერენცია იხილავს აგრეთვე სომხეთისა და კურდისტანის საკითხებს.

ოსმალეთის საზავო დელეგაციას პარიზში მიიწვევენ 10 მაისს—სან-რემოს კონფერენციის დამთავრების შემდეგ.

მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ გერმანიის მთავრობისაგან ყოველგვარი არეულობის მოსპობას და ვერსალის საზავო ხელშეკრულობის სავსებით ასრულებას.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ლიტვინოვი კოპენჰაგენში შეუთანხმდა საფრანგეთის და ბელგიის წარმომადგენლებს სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ.

შირეზში, ან სადაც ამას საჭიროდ დაინახავენ აქ იმართება დღის დღესასწაული, სიმღერა, მუსიკა და მოკლე სიტყვები ყველა რაიონში, კავშირითვით უნდა ეცადონ მისცეს დღესასწაულს თავის რაიონში შესაფერი ელფერი.

3) 10 საათზე რაიონები და კავშირები დროშებით, პლაკატებით, სიმღერით და მუსიკით გამოემგზავრებიან მუშათა სასახლისაკენ. აქ დემონსტრანტები ადგილს დაიჭერენ კომისიის ჩვენებით.

4) მუშათა სასახლესთან და დამფუძნებელ კრებასთან თითო მოკლე სიტყვა, მაგრამ ისე, რომ დემონსტრაცია არ დაიშალოს, არ შეჩერდეს.

5) სრულ ყველა ორგანიზაციების გამოცხადების შემდეგ, და არა უგვიანეს 12 საათისა, დემონსტრაცია მწყობრად გაემართება ძმათა სასაფლაოსაკენ... თავისუფლების მოედნით, პუშკინის ქუჩით, პლეხანოვის პროსპექტით, კიროჩნი და ჩერქეზოვის ქუჩებით. გზაში მწყობრი, ხუთ-ხუთი კაცი რიგში და წესრიგზე სიარული ყველამ უნდა დაიცვას.

6) დემონსტრაცია მივა ძმათა სასაფლაოზე (ახალზე) და შეამკობს ამ ჩვენთვის წმინდა ადგილს ვარდ-ყვავილებით. ყვავილების შოვნა და იაფად გაყიდვა უნდა ითავონ თვით რაიონებმა ადგილობრივ, რომ თითო ყვავილი ყველამ მოიტანოს სასაფლაოზე.

7) წინანდელივით წელსაც ცენტრალური კომისია დაამზადებს სამაისო გულზე საკიდებელ ნიშნებს, წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს." წარწერა იქნება ქართულად, რუსულად, ინგლისურად, სომხურად და თათრულად. ეს ნიშნები გაიყიდება თითო 3 მანეთად სამაისო ხარჯის დასაფარავად.

8) რაიონებმა, კავშირებმა ეს ნიშნები უნდა ადრე დაიბარონ და დაურიგონ ამხანაგებს, რათა დემონსტრაციის დროს არ დაირღვეს საერთო წესრიგი ლენტების ყიდვით.

ეს ლენტები როგორც დემონსტრაციაში, ისე მიტინგზე მონაწილეთათვის სავალდებულოა გულზე ჰქონდეს მიბნეული.

9) ძმათა სასაფლაოს გვერდით მინდორში გაიმართება უმთავრესი მიტინგი, სადაც ილაპარაკებენ ამისათვის დანიშნული ამხანაგები. სიტყვის წარმოთქმის მსურველები უნდა ჩაეწერონ ან განუცხადონ კომისიის პრეზიდიუმს. ვინაიდან ეს დღე საერთო დღესასწაულია ყველა მშრომელთათვის, ამიტომ პოლიტიკური გამოსვლა სასურველი არაა.

10) ყველამ ყველგან დაიცვას წესრიგი სასაფლაოზე. არ შესდგეს წმინდათა-წმინდა სასაფლაოზე. არ გააფუჭოს სასაფლაოს მორთულობა, ყვავილ-ბალახი და სცეს პატივი წამებულ ამხანაგების ხსოვნას მოტანილ ვარდ-ყვავილების საფლავზე დაწყობით და გადავიდეს იქვე გაშლილ მინდორში, სადაც იქნება წარმოთქმული სიტყვები.

საფლავებთან შეკრება დაუშვებელია.

11) პირველ მაისს უნდა შეჩერდეს ყოველივე მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა, როგორც ადრეებს.

გამონაკლისს შეადგენენ: მოძრაობა რკინის გზაზე. ტრამვაი იმუშავებს ნაწილობრივ (გამოცხადდება გაზეთებში), წყალსადენი, ელექტრონი. სავადმყოფო და აფთიაქები. აგრეთვე პურის გასაყიდი ადგილები იქნება ღია.

12) მუშათა სასახლიდან დემონსტრაციაში ადგილს დაიჭერენ შემდეგ წესრიგზე: პირველად ბავშვთა წრეები სხვა და სხვა სასწავლებლების მოსწავლენი მასწავლებლებითურთ, მუსიკით და მომღერალთა გუნდებით... პოლიტიკური ორგანიზაციები. ახალგაზრდა მარქსისტები, ქალთა ორგანიზაციები და კავშირები. არც ერთ ორგანიზაცია კავშირს არ აქვს უფლება გზაში დემონსტრაციას გამოეყოს, ან სხვა ქუჩით, გარდა მარშრუტში ნაჩვენებისა, იაროს.

13) საღამოს შვიდი საათიდან იწყება თვით რაიონებში დღესასწაული იმ პროგრამით, რასაც თვითეული რაიონი შეიმუშავებს. პირველ რაიონში მოხდება პლეხანოვის სახელობაზე ახალ მუშათა კლუბის გახსნა. ხოლო გარეთ ეზოში კუსკა, სეირნობა, პროჟექტორი.

14) პირველ მაისს დაირიგება ხალხში ფურცლები ამ დღის მნიშვნელობა სიდიადის შესახებ შინაარსით.

15) პირველ მაისს მაგარი სასმელების ხმარება დასაშვები არაა.

16) სამაისო პლაკატები და წარწერანი შეიძლება გამოიყენოთ წინანდელი და თუ საჭირო დარჩა, ახლებიც დაამზადოთ.

17) მოირთოს სახალხო მატარებლები ბათომ ბაქო ერევნისაკენ წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს. სალამი თფილისის პროლეტარიატისაგან".

18) ძმათა სასაფლაოთა მორთვა-მოწყობა და ტრიბუნების გამართვა დაევალოს პირველი რაიონის გვარდიელთა შტაბს.

19) რედაქციებს, მუშათა სასახლის და სხვა საზოგადო დაწესებულებათა მორთვა-მოწყობა ევალება ადგილობრივ ამხანაგებს.

20) ყველა დაწესებულებებს ევალება ხელი შეუწყონ პირველი მაისის დღესასწაულის საუკეთესოდ ჩატარებას.

21) დღეს ქალაქის ქუჩები და სახლები უნდა მოირთოს დროშებით, ხოლო საღამოს, სადაც შესაძლებელია, განათდეს.

22) ლენტების და ყვავილების გამყიდველებს ექნებათ დამოწმებული ყუთები და მოწმობები ორგანიზაციიდან. კერძო გაყიდვა ლენტების, ან ყვავილების დასაშვები არაა.

სასურველია ამხანაგებმა იქონიონ თან თითო ქინძისთავი ნიშნის მისამაგრებლად.

23) სასურველია დემონსტრაციაში მიიღონ მონაწილეობა სასწავლებლებმა სიმღერით და მუსიკით, ვისაც მუსიკა აქვს. რკინის გზის ყველა სასწავლებლებმა უკვე განაცხადეს სურვილი დღესასწაულში ორგანიზაციულად გამოსვლისა.

24) დამატება ან შეცვლა ამ პროგრამისა, თუ ეს მოხდა, გამოცხადდება გაზეთებში.

25) რედაქციები, რომელნიც თანაუგრძნობენ მუშათა დღესასწაულს, იმედია ამ პროგრამას გადაბეჭდავენ.

ამხანაგებო, მუშებო! ყველა დარგისა და წარმოებისა. პირველი მაისი არის ჩვენი ერთობის, ჩვენი სოლიდარობის, ჩვენი ძალის, ჩვენი დისციპლინის, ჩვენი ორგანიზაციის მაჩვენებელი დღე. პირველი მაისი არის დღესასწაულთა დღესასწაული. ამიტომ [illegible] მრავლად, ერთსულოვნად, გამოფხიზლებულად მიიღეთ დღესასწაულში მონაწილეობა.

არავინ დარჩეთ სახლში.

წითელი ლენტით გულზე... წითელი ყვავილები ხელში გაეშურეთ ძმათა სასაფლაოსაკენ.

გაუმარჯოს პირველ მაისს!
გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ცენტრალური სამაისო კომისია.

ბაქო

— 19 აპრილს მოხდა პარლამენტის საიდუმლო სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანონპროექტი საფრანგეთის, ინგლისის, პოლონეთის, იტალიის, ამერიკის, შვეიცარიისა და გერმანიის მთავრობებთან, აგრეთვე რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური მისიების დაარსების შესახებ.

— ქალ. ბაქოსა და ბაქოს რაიონების პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭომ განიხილა საკითხი ყარაბაღის ამბების შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც საბჭო პროტესტს აცხადებს საერთაშორისო დემოკრატიის წინაშე სომხური დემოკრატიის ნაწილის უზურპატორების, დაშნაკელების მოქმედების გამო და აღნიშნავს, რომ ბაქო ენერგიულად შეებრძოლება თავდამსხმელებს და აზერბეიჯანის დემოკრატიის მტრებს.

— საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ—პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აზერბეიჯანის დემოკრატიისა და პროლეტარიატის სახელით საბჭო მოითხოვს მთავრობისაგან გამართოს მეგობრული მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან იმ პირობით, თუ საბჭოთა მთავრობა გადაჭრით აღიარებს, რომ სცნობს აზერბეიჯანის დამოუკიდებლობას; თუ კი საბჭოთა მთავრობა მტაცებლობის გზას აადგება, საბჭო მოითხოვს მის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლას, რადგანაც მხოლოდ ნაციონალურ სახელმწიფოში შეუძლია პროლეტარიატს, საბჭოს აზრით, უფრო ნაყოფიერად აწარმოოს თავისი კლასიური ბრძოლა საბოლოო მიზნების განსახორციელებლად.

— ბაქოში არსდება აზერბეიჯანის სოციალისტების დამოუკიდებელთა პარტია. პარტიის მიზანია ძალა-უფლების მშრომელი ხალხის ხელში გადაცემა და დაუყოვნებლივ კავშირის დადება საბჭოთა რუსეთთან.

„იტტიჰადის" და „ეხრარის" პარტიები დასთანხმდნენ კაბინეტის შედგენის დროს მიენიჭოს გაჯინსკის სრული თავისუფლება.

„მუსავატის" წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს კომუნისტებს, რათა ისინი შესულიყვნენ გაჯინსკის მთავრობაში. კომუნისტებმა უარი განაცხადეს, კომუნისტები თანახმა არიან მხარი დაუჭირონ გაჯინსკის; ამ მიზნით ისინი სიამოვნებით იმუშავებენ მთავრობის დაწესებულებებში.

— სოციალისტური ფრაქცია კაბინეტის შედგენის დროს წამოაყენებს შემდეგ პლატფორმას: დამოუკიდებელი აზერბეიჯანის შეთანხმება საბჭოთა რუსეთთან, მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიაში, მუშათა კანონმდებლობის ფართოდ დაყენება და რესპუბლიკის სრული დემოკრატიზაცია.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

12 აპრილის სხდომა.

(ოქმი № 5).

დაესწრნენ: აზერბეიჯანის რესპუბლიკიდან: ხასან ბეგ აგაევი, ალიმირდ ბეგი კრაჩინსკი, ფირის ბეგ ვეკილოვი; სომხეთის რესპუბლიკიდან: ა. ი. ოგანჯანოვი, ს. ა. ხაზატურიანი, ს. გ. მამიკონიანი, ტ. ა. ბეკზადიანი; საქართველოს რესპუბლიკიდან: ე. პ. გეგეჭკორი, გ. ს. ლორთქიფანიძე, გ. თ. მახარაძე.

თავმჯდომარეობს ს. გ. მამიკონიანი.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა შეუდგნენ მსჯელობას გ. ს. ლორთქიფანიძის ფორმულის შესახებ, რომელიც სამხედრო მოქმედების დაწყებამდე უფლებრივ „სტატუს"-ს აღდგენას ეხება.

თ. ბ. კრაჩინსკი ფიქრობს, რომ ეხლა ლაპარაკი არ შეიძლება 22 აგვისტოს შეთანხმების სრული აღდგენის შესახებ; შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ ფაქტიური მდგომარეობის აღდგენის შესახებ. რომელიც 1919 წლის 23 ნოემბრის უკანასკნელ შეთანხმების დროს იყო და რომელ მდგომარეობაშიც იყო ორივე სახელმწიფო უკანასკნელ შეტაკებამდე.

ხ. ბ. აგაევი. ჩვენ დადგენილებაში უნდა ვისარგებლოთ იმ აქტით, რომელიც უკანასკნელია, ე. ი. 23 ნოემბრის აქტით. რა თქმა უნდა, ამაშივე შედის 22 აგვისტოს შეთანხმებაც ეროვნულ საბჭოსა და აგრეთვე სხვა აქტები და ამგვარივე შეთანხმებანი, რომელნიც 23 ნოემბრამდის მოხდა.

ტ. ა. ბეკზადიანი: 23 ნოემბრის შეთანხმება არ ლაპარაკობს არავითარ უფლებრივ ნორმებზე, არამედ—ადგენს 1) არ მიმართონ იარაღს და 2) უთანხმოების დროს საკითხების განხილვა არბიტრაჟს მიანდონ. ეს შეთანხმება თითქმის თავის არსებაში შეიცავს 22 აგვისტოს შეთანხმებას, რომელიც მოხდა ყარაბაღის სომეხთა ეროვნულ საბჭოსა და აზერბეიჯანის მთავრობის შორის.

თ. ბ. კრაჩინსკი: 23 ნოემბრის აქტზე ინიშნება გახსნილი კონფერენცია, იქ მიღებული იყო იგივე დებულებანი, რომელიც ჩვენ უკვე ჩვენს დადგენილებებში შევიტანეთ. საერთოდ ჩვენ ვლაპარაკობთ ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც 23 ნოემბრის შეთანხმებამდე არსებობდა.

ხ. ბ. აგაევი: თუ ჩვენ შევუდგებით შემოსულ ფორმულების მე 8 ნაწილის განხილვას, ე. ი. კომისიების განხილვის საკითხს, ჩვენ ამით შევეხებით გადაუწყვეტელ დასმულ საკითხსაც.

ა. ი. ოგანჯანიანი: თუ უფლებრივ აღდგენაში ჩვენ ვიგულისხმებთ იმას, რისი ფაქტიურად აღდგენა შეუძლებელია, მაშინ მე არ შემიძლია ამას შევურიგდე. ამბობენ, რომ 22 აგვისტოს შეთანხმება დაარღვია სომეხთა ეროვნულმა საბჭომ, მაგრამ 23 ნოემბრის შეთანხმება ხომ აზერბეიჯანის მთავრობამ დაარღვია იმით, რომ არბიტრაჟის მაგიერ მან იარაღს მიმართა. თანამედროვე მდგომარეობიდან ორი გამოსავალია: ან დავუბრუნდეთ მდგომარეობას „ანტე ბელუმ" როგორც ყარაბაღში აგრეთვე ზანგეზურში, ან და მივიღოთ თანამედროვე ფაქტიური მდგომარეობა, დავარწმუნდეთ შეტაკებათა შეწყვეტაში და მოვსპოთ ისინი, თუ ჯერაც არ არის შეწყვეტილი.

გ. ს. ლორთქიფანიძემ წამოაყენა შემდეგი რეზოლუცია: აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციამ 1920 წლის 12 აპრილს სხდომაზე დაადგინა: დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას სავსებით ის უფლებრივი სტატუსი, რომელიც შეტაკებამდე არსებობდა [illegible] იყო სომხეთ-აზერბეიჯანის [illegible] კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციამდე, აგრეთვე ეროვნული საბჭოების სათანადო მთავრობებთან შეთანხმების ნიადაგზე.

თ. ბ. კრაჩინსკი. 22 აგვისტოს შეთანხმების რამდენიმე მუხლი დაირღვა. ეხლა შეიძლება საკითხი დაისვას იმ საზღვრებისაკენ დაბრუნების შესახებ, რომელიც 23 ნოემბრამდე, როგორც უკანასკნელ თარიღამდე იყო, რომელიც ჩვენ გვინდა ჩვენი თვალსაზრისის გამოსახულებად ავიღოთ და საზღვრების გამორკვევის ხანაში ჩვენი ფაქტიური მდგომარეობა დავამყაროთ.

ტ. ა. ბეკზადიანი. მე ვფიქრობ, რომ აზერბეიჯანს არ ეჭირა ყარაბაღი, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ არ შეიძლებოდა მცხოვრებლებთან შეთანხმებაზე ლაპარაკი, მაშასადამე, აქ არა მფლობელობა, არამედ—ერთგვარი შეთანხმება განსაკუთრებულ პირობებში. და თუ ეს შეთანხმება ამა თუ იმ მხარის მიერ არის დარღვეული, უნდა აღდგენილ იქნას „სტატუს-კვო" შეტაკებამდის, ე. ი. ის დებულებანი, რომლის დროსაც ყარაბაღი იქნება აზერბეიჯანის მფლობელობაში ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმების იმავე საფუძვლებზე.

თ. კრაჩინსკი. ყარაბაღის ეროვნულ საბჭოსთან 22 აგვისტოს მომხდარი შეთანხმება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთაშორისო ხასიათის აქტი—ეს არის საინსტრუქციო ხასიათის შინაგანი მმართველობის აქტი.

ტ. ა. ბეკზადიანი. ნება მომეცით გამოვაქვეყნოთ ეს აქტი და თქვენ დაინახავთ, რომ ეს არის არა შინაგანი მმართველობის ინსტრუქცია, არამედ შეთანხმება საერთაშორისო ხასიათისა, ამასთანავე ეროვნული და აზერბეიჯანის მთავრობის მიერ მოწონებული. თავმჯდომარე აცხადებს, რომ აქტი ჩვენ ხელთ არა გვაქვს და იგი იძლევა კითხვას, იყო თუ არა ფაქტიურად აზერბეიჯანის მმართველობა ყარაბაღში 23 აგვისტომდე. ირკვევა, რომ აზერბეიჯანის მთავრობა იქ შევიდა ამ შეთანხმების შემდეგ.

ს. ა. ხაზატურიანი. რადგანაც თქვენ ამბობთ, რომ უნდა დავუბრუნდეთ 23 ნოემბრამდე არსებულ მდგომარეობას, ამ ფორმულაში შედის 22 აგვისტოს შეთანხმებაც, ამიტომ მე დავეთანხმებოდი იმას, რომ განსაკუთრებით არ ყოფილიყო ხსენება 22 აგვისტოს აქტი, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს იგულისხმება თავისთავად, მაგრამ რადგანაც ამ მდგომარეობას უარყოფენ, ამის შესახებ განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ.

თ. ბ. კრაჩინსკი. მას შემდეგ, რაც ყარაბაღმა, 22 აგვისტოს აქტით აზერბეიჯანის უფლება აღიარა, ყარაბაღის საკითხი აზერბეიჯანის მთავრობისათვის შეიქნა შინაგან საკითხად, და თუ აქ აღნიშნავენ, რომ ყარაბაღს სავსებით განსაკუთრებული მდგომარეობა უჭი-

---

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა*)

6) სხვა დაბრკოლებანი.

ეროვნულ კავშირების აღჭურვას საჯარო უფლებებით წინ სხვა დაბრკოლებებიც ელობება. ეროვნულ კავშირებს აქვთ თავის პირდაპირი, სპეციალური დანიშნულება, რომელიც სახელმწიფომ უნდა თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს. უმთავრესი დანიშნულება, ეროვნებათა უმცირესობის საერთო აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ეს კავშირები უძღვებოდენ სწავლა-განათლების საქმეებს და ეროვნულ კულტურულ საჭიროებებს. საანბანო და უდავო პედაგოგიური მოთხოვნილებაა ის, რომ სწავლა განათლება უნდა დედა ენაზე სწარმოებდეს; ეს საანბანო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ კულტურულ საქმეების საუკეთესო გაძღოლა შესაძლებელია ეროვნულ კულტურის ნიადაგზე, რომლის პირველი და უდიდესი ნიშანია—ენა. მაშასადამე, ეროვნულ კავშირების შექმნა ყოველ სახელმწიფოს თვალში უნდა ნიშნავდეს ამ კავშირების შექმნას დედა ენის მიხედვით. სხვა რაიმე ნიშნით კავშირების შექმნა დემოკრატიულ სახელმწიფოს არც სჭირდება და მისთვის ეს არც ხელსაყრელია. მაგრამ რა უნდა გააწყოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქენი „ეროვნულ კავშირებს" შეადგენენ არა დედაენის მიხედვით, არამედ სხვა რაიმე ნიშნით, რომლის მიხედვითაც შეერთება უარჰყოფს ყოველს დემოკრატიზმს და თვით იმ ძირითად პრინციპს, რომელზედაც ეს სახელმწიფოა აგებული?

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი პროექტები რომ ამ მხრივ გავსინჯოთ, დავინახავთ, რომ ერთი ეროვნული უმცირესობა მოითხოვს ეროვნულ კავშირის შედგენას დედა ენის მიხედვით, მეორე—სარწმუნოების მიხედვით, მესამე—ჩამომავლობის მიხედვით.

რუსთა ნაციონალური საბჭოს სიტყვა „ეროვნება" ესმის, როგორც „ეთნიური ჯგუფი" (როგორც მთელი პროექტიდან სჩანს, ამ ეთნიური ჯგუფის მთავარი ნიშანი ენაა), დამოუკიდებლად სარწმუნოებისა". მაგრამ აი რას ვკითხულობთ ებრაელთა საბჭოს პროექტში: „საქართველოში ებრაელთა ეროვნებაში ჩაირიცხება (ნაციონალურ კადასტრის შედგენისას) ყოველი ებრაელი, რომელსაც არ განუცხადებია თავის გამოცვლა ებრაელთა ერიდან და რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ სხვა სარწმუნოებას".

სარწმუნოებასვე უდებს საფუძვლად თავის ავტონომიას მუსულმანთა საბჭოც, რომელიც მუსულმანობას, მაჰმადიანობას ეროვნების მთავარ ნიშნად სთვლის.

რაც შეეხება სომეხთა ნაციონალურ საბჭოს, მის პროექტში არ არის გამარტებული, რა ნიშნით სურს მას ეროვნულ კავშირის შექმნა, მაგრამ მის მთელ საერთო პოლიტიკიდან სჩანს, რომ მას ეს შეერთება სურს ენის მიხედვითაც და სარწმუნოების მიხედვითაც: „სომეხთა ეროვნებაში" ისინი ჩარიცხავენ იმათაც, ვინც დედა-ენით სომხები არიან და სარწმუნოებით კი არ არიან გრიგორიანები (მაგ. სომეხი კათოლიკები), იმათაც, ვინც დედაენით სომხები არ არიან და სარწმუნოებით კი გრიგორიანები არიან (ასეთია საქართველოს მოქალაქე სომეხთა დიდი ნაწილი გარდა ქ. თფილისში, ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში მცხოვრებ სომხებისა).

მაგრამ აი კიდევ მესამე პროექტი—ელლინთა ნაციონალურ საბჭოს მიერ შედგენილი, რომელიც [illegible] სისხლის, ჩამომავლობის მიხედვით [illegible] თავისი ეროვნება: რადგან ელლინებს, როგორც სჩანს, ყველას არ ესმის ბერძნული ენა, ელლინთა პროექტით, მათ ეროვნულ საბჭოში რუსულ ენაზე უნდა ხდებოდეს ლაპარაკი და მიწერ-მოწერა (იხ. მუხლი 7).

ამნაირად, დემოკრატიული სახელმწიფო სრულიად გაუგებელ მდგომარეობაში ვარდება: იგი მოხარულია ეროვნულ კავშირებს დაუთმოს ფართო სარბიელი თავის საქმეებში; მეტადრე სწავლა განათლებაში და კულტურულ მუშაობაში, ამისათვის ერთად ერთი გზაა—ერის შეკავშირება დედა ენის მიხედვით; მას კი სარწმუნოებრივს ან ჩამომავლობაზე დაფუძნებულ კავშირებს უარსყოფენ და ეუბნებიან, ეს გამოგადგებაო. მას ერთი სჭირდება, მაგრამ მას აწვდიან მეორეს, იმას, რაც მისთვის არა თუ საჭირო არ არის, საზიანოც კია, როგორც ხალხის შეგნების დამაბნეველი და კულტურულად დამაქვეითებელი.

ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა რომელიმე ნაწილის მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა იმას არ ნიშნავს, რომ მან უნდა გარდაუვალ კანონად მიიჩნიოს ეროვნულ უმცირესობის ყოველივე სურვილი, თუნდაც იგი თვით სახელმწიფოს ინტერესებთან იყოს წინააღმდეგობაში. უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმდენით, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება თვით სახელმწიფოს არსებითს ინტერესებს. ის, ვინც „ეროვნულ" კავშირს სარწმუნოების ნიადაგზე აშენებს და მოითხოვს, რომ მისი უფლებები უზრუნველყოს სახელმწიფომ, რომელშიაც ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევებულია, მას არ ესმის, რას ნიშნავს „უფლებათა უზრუნველყოფა".

დასკვნა აქედან ასეთია. დემოკრატიულმა სახელმწიფომ რომ მოინდომოს ეროვნულ კავშირების აღჭურვა საჯარო უფლებებით, იგი ამას ვერ შესძლებს: ჯერ ერთი იგი ვერ განახორციელებს ამ კავშირების იძულებითს შედგენას, რადგან შეუძლებელია ცოტა მაინც ზედმიწევნით გამოარკვიოს ის, რაც არსებითად სრულიად გაურკვეველია, ე. ი. „ეროვნება" და შეუძლებელია ამ გაურკვევლობის ნიადაგზე მოქალაქეთა ეროვნულ სიების შედგენა, თვით ეროვნული უმცირესობანი წინააღმდეგნი არიან ეროვნულ კავშირების ამნაირი იძულებით შედგენისა. მეორე, თუ სახელმწიფომ იძულებაზე ამ საქმეში ხელი აიღო, „თავისუფალი აღიარება" მას ხელში მისცემს იმისთანა „ეროვნულ კავშირებს", რომლებსაც ეროვნებასთან ძალიან მცირე კავშირი აქვთ, რომლებიც სრულიად არ გამოდგებიან იმ განმანათლებელ და კულტურულ მიზნებისთვის, რისთვისაც უმთავრესად სჭირდება სახელმწიფოს ამ კავშირების შედგენა.

7. ფინანსიური ავტონომია ეროვნულ კავშირებისა.

ეროვნულ კავშირების აღჭურვა საჯარო უფლებებით სრულიად მოუხერხებელი და განუხორციელებელია. რაკი უარვყავით ეროვნულ კავშირებისთვის საჯარო უფლებათა მინიჭება, აქედან თავის თავად იგულისხმება უარყოფა იმ მოთხოვნათა, რომლებიც საჯარო უფლების აღიარებიდან გამომდინარეობენ. მათ შორის უმთავრესია ეროვნულ კავშირების ფინანსიური ავტონომია. ეს უფლება ყველაზე სავსებით გამოხატული არის რუსთა ეროვნულ საბჭოს პროექტის მე 8 მუხლში:

„ნაციონალურ თვითმართველობის ორგანოებს ეძლევათ სრულ განკარგულებაში თანხა, გადადებული სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების მიერ იმ საჭიროებათა გასაძღოლად, რომლებიც ნაციონალურ კავშირის უწყებაშია. ეს თანხები უნდა პროპორციულად უდრიდეს ამა თუ იმ ეროვნების რიცხვს შეფარდებით რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთა რიცხვთან. იმ საჭიროებათა გასაძღოლად, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები ვერ გასწვდება, ნაციონალურ კავშირს ნება ეძლევა ეროვნულ თვითმართველობის საქმეების და მიზნებისათვის ხარჯი გაწეროს ეროვნულ შეერთების წევრებს პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე დაწესებულ გადასახადის სახით".

ამავე ფინანსიურ უფლებებს მოითხოვს სომეხთა ეროვნულ საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი:

„სომეხთა ნაციონალურ თვითმართველობას სახალხო განათლების საქმის და ეროვნულ კულტურის გასაძღოლად ეძლევა სრულ განკარგულებაში თანხები სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების სათანადო ბიუჯეტიდან მცხოვრებთა რიცხვის პროპორციის კვალობაზე" (§ 12).

„სომეხთა ნაციონალურ თვითმართველობას ნება აქვს აგრეთვე განსაკუთრებული ხარჯი გააწეროს სომხებს იმ საქმეების გასაძღოლად, რომლებიც მის კომპეტენციაში შედიან" (§ 13)

მაშასადამე, ფინანსიური ავტონომია ეროვნულ კავშირებისა იმაში შედგება, რომ მათ კასსაში შედის 1) ის თანხები, რომლებსაც იღებს კავშირის მიერ თვით დაბეგვრის უფლების თანახმად აკრეფილ ხარჯებიდან, და 2) ის თანხები, რომლებსაც უწილადებს მას სახელმწიფო (და აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობანი, რაც ჩვენს რესპუბლიკაში იგივე სახელმწიფოა) თავის ბიუჯეტიდან მცხოვრებთა რიცხვის პროპორციის კვალობაზე.

თვით დაბეგვრის უფლებას თითქმის ყველა წარმოდგენილი პროექტები მოითხოვენ, ხოლოდ ზოგში პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს უფლება უნდა „იძულებითი" იყოს (ებრაელთა, ელლინთა და გერმანელთა ნაც. საბჭოების პროექტები) ზოგში ეს ნათქვამი არ არის, მაგრამ თავის თავად იგულისხმება. ეს ეროვნულ იძულებითი თვით-დაბეგვრის უფლება აღიარებულია რუდოლფ შპრინგერის მიერ. მას ასე აქვს ეს უფლება წარმოდგენილი: „სახელმწიფო ერს თავის შემოსავალს კი არ აძლევს, არამედ მას უფლებას აძლევს თავის გადასახადის შემოღების, ახალი შემოსავალი გამონახოს და სხვა"*).

რ. შპრინგერის მხარს უჭერს ოტტო ბაუერიც, რომელიც იმ აზრისაა, რომ სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრების, მუზეუმების, სახალხო უნივერსიტეტების და ყველა კულტურულ-განმანათლებელ საქმეების გასაძღოლად ეროვნულ ავტონომიას... ეძლევა უფლება გააწეროს თავის წევრებს ხარჯები და შექმნას მისთვის ყველა საჭირო თანხები"**)

ეს თვით-დაბეგვრა, [რ. შპრინგერის და ო. ბაუერის მთელი სისტემის აზრით, უნდა იყოს იძულებითი: მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს კანონის ძალა, ე. ი. გაწერილი ხარჯები უნდა ხდებოდეს მოქალაქეებს ისე როგორც ყოველი სახელმწიფო გადასახადი, და მათი გადაუხდელობა უნდა იწვევდეს სახელმწიფოს კანონებით დაწესებულ სასჯელს, როგორც ყველა სახელმწიფო მოვალეობის დაუხდელობა. [illegible], ეს [illegible] ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რ. შპრინგერიც და ოტტო ბაუერიც [illegible] სთვლიან, რომ ეროვნული კავშირი იქმნებოდეს „თავისუფალ განცხადების" ნიადაგზე, ე. ი. ყოველ მოქალაქეს უნდა უფლება მიეცეს თავის სურვილისამებრ აირჩიოს ესა თუ ის ეროვნული კავშირი. ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი წესი სრულიად უარყოფს კავშირის საჯარო ხასიათს და აქცევს მას კერძო თავისუფალ კავშირად. ასეთი წესი იმავ დროს შეუძლებლად ხდის, რომ თვითდაბეგვრას იძულებითი ხასიათი მიეცეს. მართლაც და ვსთქვათ, რომელიმე მოქალაქე თავის სურვილით ჩაეწერა ამა თუ იმ ეროვ-

---

*) იხ. „ერთ." № 84, 86, 88.

*) „Нац. проблема" გვ. 310.
**) „Нац. вопр. и с.-д. 371."

რავს, ამით ქმნიან სახელმწიფოს—სახელმწიფოში.

ტ. ა. ბეგზადიანი: კითხულობს—ცნობს, თუ არა იგი 22 აგვისტოს აქტს იურიდიულ აქტად.

თ. ბ. კრიჩინსკი: ეს აქტი იურიდიულია, მაგრამ აჯანყების შემდეგ ეს აქტი მოისპო.

ტ. ა. ბეგზადიანი: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ აქტმა თავისი არსებობა უნდა განაგრძოს.

ე. შ. [illegible]: აქ ორი თვალსაზრისი შეეჯახა ერთი მეორეს, ორივე ერთგვარად ლოღიკურია.

თ. ბ. კრიჩინსკი: იმ თვალსაზრისიდან გამოდის, რომ ყარაბახი აზერბეიჯანის განუყოფელი ნაწილია. იყო ერთი ვარი შეთანხმება, შემდეგ მოხდა აჯანყება და ახლა აზერბეიჯანის მთავრობის საქმეა, თუ აქ რაგვარი მდგომარეობა შეიქმნება. მეორე თვალსაზრისი, რომ ყარაბახი იყო განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში აზერბეიჯანის მთავრობასთან და ეს დამოკიდებულება უნდა იქნეს აღდგენილი. ჩვენ რომ პირველ თვალსაზრისს დავადგომოდით, კონფერენცია ვერ გამოიტანდა თავის გუშინდელ გადაწყვეტილებას, ჩვენ ეხლა უნდა ვსთქვათ, რომ უნდა აღდგენილ იქნეს ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა შემდეგ არსებობდა. ჩვენ უფლება მოსილი ვართ, რომ ეს გავაკეთოთ ხომ ამაზეა დაფუძნებული 23 ნოემბრის შეთანხმებაც, რომელსაც ორივე მხარე სცნობს, რადგანაც ყარაბახის შიმართ, ან სხვა საკითხში დაშვებული იყო 23 ნოემბრის დადგენილ წესის დარღვევა, ჩვენ, კონფერენციამ წესრიგის აღდგენისაკენ უნდა მოვუწოდოთ იმ მხარეს, რომელმაც ეს დაარღვია, მოხდა იქ აჯანყება, თუ მცხოვრებლების მიერ ჯარებზე თავდასხმა, ან ძალით განიარაღების შეცდენ—ეს არის კითხვები, რომელნიც კონფერენციამ უნდა განიხილოს მომავალში. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ მდგომარეობას, რომელიც ერთხელ კიდევ დადასტურებული იყო 23 ნოემბრის და უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ეს შეთანხმება 22 აგვისტოს შეთანხმებას შეიცავს.

ვ. ხ. ლორთქიფანიძე: კვლავ აყენებს თავის ფორმულას.

ა. ი. ოჰანჯანიანი: ჩვენ ისეთი დადგენილებები არ უნდა გამოვიტანოთ, რომელიც სხვადასხვა აზრს მოგვცემს. მე მოვითხოვ, რომ ფორმულაში შეტანილი იყოს 22 აგვისტოს შეთანხმება.

(დასასრული იქნება)

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 აპრილი.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 22 აპრ. დასავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში მდ. ბერეზინის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა ნაწილებმა მტრის გამაგრებული პოზიცია გაარღვიეს. რეჩიცა-მოზირის რკ. გზის სამხრეთით ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობენ. ოვრუჩის რაიონში ოვრუჩის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ნოვოგრად-ვოლინსკის, ბერდიჩევისა და პოდოლიის კამენეცის რაიონში ზოგან შეტაკებანია და ზოგან მზვერავთა მოქმედებაა. **სამხრეთის ფრონტი.** ყირიმის მხარეზე პერეკოპის რაიონში ჩვენ ძირს ჩამოვაგდეთ მტრის თვითმფრინავი, რომელიც ჩვენ პოზიციებს ზევიდან ყუმბარებს უშენდა. სივაშის რაიონში ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის შემოტევა სად. სალნიკოვის ჩრდილო-დასავლეთით. **კავკასიის ფრონტი.** ტუაპსის რაიონში მოწინააღმდეგე ჩვენ პოზიციებს რამდენიმე გემიდან ყუმბარებს უშენს

შრომის ფრონტი.

პეტროგრადის დივიზიის არტილერია შეუდგა უცხენო გლეხთა და წითელ არმიელების ოჯახთა ყანების ხვნას.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

სან-რემოს კონფერენციაზე.

სან-რემოში უმაღლესი საბჭო თათბირობდა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობის შესახებ ოსმალეთის დელეგატებს პარიზში ათი მაისისათვის გაიწვევენ. დილის სხდომაზე საბჭო იხილავდა პრეზიდენტი ვილსონის ნოტის პასუხს ოსმალეთის საკითხის შესახებ, ითათბირეს აგრეთვე კურდისტანის საკითხზე

სან-რემოდან იუწყებიან, რომ უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობის ფინანსიური პირობები. შემდეგ საბჭომ განიხილა საკითხები სომხეთის ტერიტორიალური საზღვრებისა და ერთა ლიგის ნოტის გამო მანდატის შესახებ. საბჭომ დაიწყო განხილვა ბათომის საკითხისა და ხალხთა ლიგის დამ[illegible]ებისა ოსმალეთის ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვისათვის. მეორე სხდომა დილით შესდგა. სხდომას დაესწრო ნიტტი, შალოია, მილერანი, ლორდ კერზონი, მატსუი ვენიზელოსი, აგრეთვე მარშალი ფოში, ადმირალი ბეტტი მარშალი უილსონი, გენერალი ბადოლიო, ადმირალი აქტონი ოხუნი, გენერალი ვეიგანი, გენერალი საკვილ ვესტი, გენერალი კავალერო და პოლკოვნიკი ტაფულარისი. საბჭომ განიხილა ზოგიერთი სამხედრო საკითხი, რომელნიც ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობის აღსრულებას შეეხება, მოუსმინა ვენიზელოსს და შემდეგ განაგრძო სომხეთის საკითხის განხილვა. ფიგარო განმარტავს კონფერენციის შედეგს, სწერს: „იმედით მოუცადოთ ამ მოლაპარაკების შედეგს—დეე ბერლინი ნუ იქნება გახარებული ნაადრევათ

ჯერ კიდევ არ დამდგარა გერმანიისათვის საათი, რომ მან ანტანტის კაპიტულიაცია აღნიშნოს".

გერმანიის განიარაღებისათვის.

საგარეო საქმეთა კომისია შეიკრიბა ბარტუს თავმჯდომარეობით. ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: საერთოდ ზავის ინტერესებისა და ყველა ხალხთა შორის ნორმალური დამოკიდებულების დამყარების ინტერესებისთვის გადაუწყვეტია მივაღწიოთ გერმანიის სრულ განიარაღებას, პალატა ნოუწოდებს მთავრობას მოითხოვოს, რომ პირობები განიარაღების შესახებ, რომელნიც ვერსალის ხელშეკრულებაშია აღნიშნული, გერმანიამ სისწორით აღასრულოს.

სამხედრო ტყვების გაცვლა.

კოპენჰაგენიდან მოსული ცნობით, საბჭოთა მთავრობის [illegible] წარმომადგენელმა ლიტვინოვმა ხამშაბათს ხელი მოაწერა საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებთან დადებულ შეთანხმებას სამხედრო ტყვების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

მოკავშირეთა ნოტა გერმანიას

ნოტის ტექსტი, რომელიც მოკავშირეებმა გადასცეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს, შემდეგია: იმ გავრცელებული ხმების გამო, რომ შესაძლებელია ახალი სამხედრო გადატრიალება, ბელგიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობამ, ყოველგვარ ანტიდემოკრატიული ცდის საწინააღმდეგო მიზნით, აღჭურვეს თავის რწმუნებულები, განუცხადონ მის მაღალ კეთილშობილებას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ დასახელებული მთავრობანი არ სცნობენ შესაძლებლად დაუშვან გერმანიის ისეთი მთავრობა, რომელიც არ ფიქრობს ხელშეკრულობის ლოიალურად აღსრულებას, და რომ სახელმწიფოში ყოველგვარ რეაქციონური მიმართულების განახლებას და არეულობისაკენ დაბრუნებას შეიძლება ჰქონდეს ერთად ერთი შედეგი—შეწყვეტა ეკონომიური აღორძინებისა და გერმანიისადმი სურსათის მოწოდებისა. მოკავშირეები წინასწარ აფრთხილებენ გერმანიის მთავრობას ამ გვარი ზომების შესახებ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს საღამოს 6 ს. შესდგება საქ. სოც.-დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **თფილისის მილიციის უფროსის** დროებით მოვალეობის აღმასრულებელმა მიქელაძემ პირველ უბნის კომისრის ლისიცოვის და მის თანაშემწე აბულაძის და რამდენიმე მილიციონერების აქტიური მონაწილეობით აღმოაჩინეს ორი მანქანა, რომელზედაც იბეჭდებოდა ბონები, როგორც ქართული, ისე აზერბეჯანის და სომხეთის, ერთი იქნა აღმოჩენილი გორის მაზრაში, სოფ. წვერაში, მეორე კი თფილისში. დამნაშავენი თითქმის ყველანი დაჭერილია.

◆ **უძრავ ქონების ჩამორთმევისათვის** თფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მთავრობამ დაამტკიცოს [illegible] თემის საბჭოს დადგენილება [illegible] სამეურნეობისათვის ტერ-გრიგორიანცის სახლის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განუმარტა მას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ წარადგენს ამ საკითხს მთავრობის წინაშე მანამ, სანამ სენატი არ გამოარკვევს აქვს თუ არა ერობას უფლება ქონების იძულებითი ჩამორთმევისა.

◆ **პირველ აპრილიდან გაიხსნა** საქალაქთაშორისო ტელეფონის კავშირი შემდეგ პუნქტებს შორის: 1. ქუთაისი-ონი, ქუთაისი ხონი და ქუთაისი სამტრედია. 2. ცხინვალი გორი, მეჯვრისხევი-გორი, ახალქალაქი (გორის მაზრა) ქვემო ჭალა-გორი. ლაპარაკი შეიძლება როგორც ხსენებულ პუნქტების შორის, ისე თითოეულ დასახელებულ ადგილიდან თფილისთან (გორით სამტრედიისა). ქუთაისისა და გორის ცენტრალური სადგურების საშუალებით.

◆ **„ფილოსოფიის შესავალი".** რედაქციამ მიიღო პროფ. შალვა ნუცუბიძის მიერ დაწერილი ახალი წიგნი: „ფილოსოფიის შესავალი", ნაწილი პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრო** ამ დღეებში წარუდგენს მთავრობას კანონპროექტს საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა აღნუსხვისა და რეგისტრაციისას.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა კათედრაზე მოწვეულ იქნა ოსმალეთის ენათა ცნობილი მკვლევარი მიხ. წერეთელი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, 28 აპრილს ლექციებს წაიკითხავენ: მე 6 განყოფილებაში (ერთობის უბანი) 1) დ. ასათიანი: საფრანგეთის რევოლიუცია; 2) აკ. [illegible]: მეცნიერება სახელმწიფოზე მე-7 განყოფილებაში (საბურთალოზე) 1) ლომოური: სამეურნეო ეკონომია 2) მესხი სამშობლოს აღწერა ან გორგაძე—საქართველოს სტრატეგიული საზღვრები მერვე განყოფილებაში (ავლაბარში) ს. დოლიძე—საქართველოს ისტორია; 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება „ლაქიე" და „ორივ დარიბი" დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში** 28 აპრილს (პლეხ. № 23) ხელოვ. მოსამსახურეთა კავშირი მართავს გრანდიოზულ საღამოს ფრიად შინაარსიანი პროგრამით. დადგმულ იქნება კომედია 1) ქართველი სტუდენტები, 2) ვოდევილი „დატრიალდა ჯარა", 3) დივერტისმენტი. დაუკრავს ორკესტრი, საზანდარი. იქნება ცეკვა და სხ. გასართობები.

◆ საქალაქო არწრუნის ბიბლიოთეკაში (კახეთის ქუჩა № 1) გაიხსნა განყოფილება ქართულ წიგნებისა ჯერ-ჯერობით შეიძლება მიღება საყმაწვილო წიგნებისა.

◆ **სოფელ ჯანაშის კარში** (ზუგდიდის მაზრა) გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება.

◆ **სოფელ ზახსუში.** (ახალციხის მაზრა), რომელიც მდებარეობს არტაანსა და ახალციხის შუა და შორავს უკანასკნელს 30 ვერსით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

ქუთაისი

ქალაქის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, კვირას, 25 აპრილს დილის 10 ს. შესდგება საქ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა კრება. განსახილველია პარტიული ყრილობის დღიური წესრიგი, ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა და სხვა. ყველა წევრთ ეძლევათ გამოცხადდნენ კრებაზე პარტიული წიგნაკებით.

— პარასკევს, 28 აპრილს, საღამოს 5 ს. რკინის გზის სამმართველოს შენობაში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. სამმართველოს მცირე კოლექტივის სხდომა ვინაიდან გასარჩევია ბევრი მეტად საყურადღებო საკითხები, ყველა წევრების დასწრება აუცილებლად საჭიროა.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ

23 აპრილს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ყრილობა.

— 19 აპრილს დილით, სისრულეში მოიყვანეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი დახვრეტილ იქნენ: ს. ხუჩუა, ი. ბერიძე, ჰ. გვალია, ქ. სანიკიძე და ფ. ცაგურია. ვ. გვალიას სასამართლომ 10 წლის ციხე მიუსაჯა. ვ. ჯალაღანია უდანაშაულოთ იქნა ცნობილი და განთავისუფლდა.

— პონტიის ბერძენთა ეროვნული საბჭო ენერგიულად მუშაობს ლტოლვილ ბერძნების სამშობლოში გაგზავნის შესახებ. ეროვნული საბჭო ამ ქამად იხილავს საკითხს კავკასიაში მცხოვრებ ბერძენთა საბერძნეთში გადასახლებისას.

— ბათომის მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა 18 აპრილს კრებამ დაზარალებულ გორელებისათვის 1919 წ. მოგებიდან გადასდო 50 ათასი მანეთი. ამავე დაზარალებულებს 1920 წ. ანგარიშიდან აღნიშნულ კოოპერატივის გამგეობამ შესწირა 50 ათასი მან

— ქალაქის სასურსათო გამგეობამ 15 აპრილს გემ. „კონსტანტინოპოლით" მიიღო დაახლოვებით 20 ათასი ფუთი ფქვილი. ამ ფქვილიდან 2300 ფუთი დაურიგდა ოლქის მცხოვრებლებს. ქალაქის ფურნეებში ყოველ დღე იხარჯება 950 ფუთი ფქვილი. ამ ქამად სასურსათო გამგეობას მოეპოვება დაახლოვებით 8 კვირის საყოფი ფქვილი.

„ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ"

წინა წლების მსგავსად ქალაქ ს შრომის ბირჟა მაისის დამდეგს მართავს „უმუშევართა დღეს". პროგრამა შესდგება მთელი რიგი საღამოებისაგან, წარმოდგენებისაგან, აუქციონებისაგან, [illegible]ისაგან, ყულაბებით ფულის შეგროვებისაგან და სხ. ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნება საკულტურო ძალები მსახიობთა და მწერალთა და აგრეთვე ქალაქის ყველა ნაციონალური საბჭოები.

შეგროვილი ფული მოხმარდება შრომის ბირჟასთან არსებულ უფასო მუშათა ს[illegible] და აგრეთვე შრომის ბირჟის დაწესებულებების გაფართოებას და ახლების გახსნას.

შრომის ბირჟა მიმართავს ყველა ნაციონალურ საბჭოებს და ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ მათ გაუწიონ დახმარება ამ დღის მოწყობაში და გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები კრებაზე, რომელიც შესდგება 25 აპრილს დილის 11 ს. შრომის ბირჟის ბინაზე (მაღლაკოვის ქუჩა სახლი № 11) ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ ყოფილი სასტუმრო „ლონდონი". ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება შრომის ბირჟის გამგესთან ყოველ დღე დილის 9—9 საათამდე ტელეფონი 8—12.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რუსეთი.

მახნო. მახნო ეკატერინოსლავის გუბერნიის სოფელ გულაი პოლიედან არის, განათლებით სახალხო მასწავლებელი. 1918 წ. მახნო პეტლიურასთან ერთად ებრძოდა გეტმან სკოროპადსკის და პეტლიურას დაამხობია იგი. მაგრამ ორი თვის შემდეგ მახნო აუჯანყდა პეტლიურას, თავის ფრთები გადააფარა ცნობილ გულაი რაიონს, ეკატერინოსლავის გუბერნიის, და იწყო ამბოხების გაფართოება. ამავე წლის დირექტორიის გაქცევის შემდეგ მახნო ორი თვე მოკავშირე კომუნისტებთან (უკრ. უკრაინის საბჭოთა მთავრობისთვის 1919 წლის მარტში მახნო [illegible] და [illegible] კვალად [illegible].

მაგრამ მახნომ არ დაივიწყა ორგანიზმი ჩვეულება. იგი აღუდგა საბჭოთა მთავრობას, გაუდგა სოფლად და დაარღვია შარშანდელ მოსკოვის [illegible] [illegible] მთავრობის მაგარი ზურგი.

დენიკინის უკრაინიდან [illegible] მახნო კვლავ მოსკოვის [illegible] თავის პარტიზანული რაზმებით იგი 1919 წ. [illegible] გვერდით იბრძოდა, მაშინ ყველამ დაიჯერა, რომ მახნო ახლა საბოლოოდ გამოერკვევა, მაგრამ შეცდნენ, ამ ქამად მახნო იგივე განზე გამდგარა, მან გამარჯვებულ ბოლშევიკებს ფრონტი ზურგში, იგი ახლა თავისთავის არის მარტო, ჰყლობს ქ ეკატერინოსლავს. ბოლშევიკებისთვის უდიდესი უბედურებაა მახნოს ამბოხება, მახნო მოსწყვიტა მოსკოვიდან კავკასიისკენ წამოსულ წითელ ჯარს, მახნომ დაამარცხა ცნობილ ბუდიონის კავალერია.

მახნო მეტად უბრალო კაცია, მოხერხებული მოლაპარაკე და ნიჭიერი ორგანიზატორი. მოქმედებებში მახნო საოცარ სისწრაფეს იჩენს, მას აგრეთვე ახასიათებს ხალხის სულიერი დატყვევება გავლენის მოხდენა.

გლეხები თავს იყრიან, მასთან მიდიან, სიტყვებს ამბობს, გლეხები მახნოს ერთგულებას ეფიცებიან.. მახნოს 1919 წ. აღმერთებდნენ გლეხები, თუმცა ამ კაცს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია არც გლეხებისათვის და არც უკრაინისათვის, გარდა იმისა, რომ ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში გადასვლა გადმოსვლით ის იღებდა და აწიოკებდა ამა თუ იმ კუთხეს: მახნო გვაგონებს ატამან გრიგორიევს, რომელიც დიდი მეომარი იყო, მაგრამ თავში [illegible] ჰქონდა: ხან დირექტორიას ემხრობოდა და ხან კიდევ მოსკოვს. („ს. ს.").

სომხეთი.

სომხეთის პოლიტიკური პარტიები და ბოლშევიზმი. 5 აპრილს ალექსანდროპოლში მოხდა თათბირი სომხეთში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისა. თათბირმა იქონია მსჯელობა ჩრდილოეთიდან მომდგარ ბოლშევიკურ საფრთხის შესახებ და გადასწყვიტა პეტიციით მიმართოს სომხეთის პარლამენტს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საჭიროა „ანგარიში გაეწიოს ჩრდილოეთიდან მომავალ დემოკრატიის ძალას" და „დაწყებულ იქნეს მეგობრული მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან".

მიწის მუშათა პროფ. კავშირები და ეროვნულ დემ. პროგრამა

(წერილი ს. ოვანდილიდან).

მსოფლიო ომმა დასცა მრეწველობა და წარმოება. ამ გარემოებამ აუარებელი მუშა დასტოვა უსაქმოდ და უმუშევროდ. ამას თან დაერთო სასურსათო კრიზისი და ს ზღ. პროვ. [illegible] ქალაქებში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მრავალი მუშა, რომელნიც მუშაობდნენ თფილისში, ბათუმში, ქუთაისში და შავი ზღვის პირად მდებარე ქალაქებში დაუბრუნდნენ თავთავიანთ სოფლებს, რათა მიწის დამუშავებით მაინც ეხსნათ თავისი ცოლშვილი შიმშილისაგან. ზოგს მათგანს აქვს სოფლად თავისი საკუთარი მიწა 1—2 ქცევა, ზოგს საზიაროთ ეძლევათ მიწების იმედი ჰქონდა. მაგრამ იგივე სასურსათო კრიზისი და სიძვირე დახვდათ სოფლებშიაც. სოფლის მუშებიც იმავე გაჭირვებას განიცდიდნენ. მათ არ შეეძლოთ არც ის გაეკეთებინათ, რომ თავიანთი საკუთარი მიწის დამუშავების გარდა, ისინი მიწის პატრონებისაგან იღებდნენ მიწას სამუშავებლად და სანახევროთ. მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული გაჭირვების და საზღვარ გარეთ ძვირის დაძლევა, ასეთი პირობებით, რაღა საკვირველია, შეუძლებელი იყო. მაგრამ ამ მიწის მუშათა გაჭირვებას ძლიერ ართულებდა კიდევ შემდეგი გარემოება. ერთს მუშას, ნაცვლობით იყო, თუ მეზობლობით, მიწების საზიარო აღების დროს ურიგდებოდა ხელში 10—12 ქცევა მიწა, მეორეს კი—1—2 ქცევა ან არც ერთი. ასე იყო წინა წლებში სოფ. ეგანდილში და ხონის რაიონში. წელს რომ ეს არ განმეორებულიყო და სასურსათო კრიზისი და მის მიერ გამოწვეული გაჭირვება ოდნავათ მაინც შემსუბუქებულიყო, მიწის მუშებმა დაარსეს მიწის მუშათა პროფ. კავშირი. ამ კავშირის მუშაობა მიმართულია უმთავრესად არა მიწის პატრონების წინააღმდეგ, რომელნიც სცემენ მიწებს საზიაროთ, არამედ იმათ წინააღმდეგ, რომელნიც თავისი [illegible]ბით 10—12 ქცევას იღებდნენ და ამ მიწაზე მოწეულ სიმინდით სპეკულიაციას ეწეოდნენ. ამნაირათ ეს პირები გარდა იმისა, რომ ყველა მიწებს თავის ხელში იგროვებდნენ და მეზობელ მუშებს მიწის აღების საშუალებას, უსპობდნენ, სიმინდზე 100 ჯერ აწეული ფასებით და სპეკულიაციის საშუალებით ცხრა ტყავს აძრობდნენ მათ ზურგზე (დღეს ფუთი სიმინდი ხონში 400 მანეთია). კავშირმა დაისახა მიზნად მიმართოს მიწის პატრონებისათვის (მიწის პატრონებს ჩვენ ვეძახით იმათ, ვინც საზიაროდ აძლევს მიწებს და არა იმათ,

---

ნულ კავშირში, მაგრამ როცა დაინახა, რომ ეროვნულ კავშირში ყოფნა დაკავშირებულია საგრძნობ გადასახადის გადებასთან, იგი იქვე გამოვიდა კავშირიდან, რომელსაც გადასახადის დრო მოვიდა. არც ეროვნულ კავშირს, არც სახელმწიფოს არავითარი საშუალება არა აქვს აიძულოს ისეთი მოქალაქე გადასახადის გადებაზე. ამგვარად ეროვნულ ავტონომიის ბიუჯეტი სრულიად გამოურკვეველი იქნება, ეროვნულ კავშირს სრულიად არ ეცოდინება, რა შემოვა მ ს, რამდენი ხარჯის გაწევა შეეძლება და რა საქმეების გასაძღოლად შესწევს მას ძალა. ფაქტიურად თვითდაბეგვრა ნებაყოფლობაზე იქნება დამყარებული და არა იძულებაზე და კანონიერ ვალდებულებაზე და დემოკრატიულ სახელმწიფოში ამნაირი ნებაყოფლობით თვითდაბეგვრის უფლება ხომ ეროვნულ კავშირს თავისთავად აქვს ისევე, როგორც ამის უფლება აქვს ყოველ კერძო, თავისუფალ კავშირს.

მეორე მოთხოვნა ფინანსიურ დარგში იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულ კავშირს სახელმწიფოსაგან უნდა ეძლეოდეს ბიუჯეტის ის ნაწილი, რაც ამ კავშირს ერგება ამ ეროვნების რიცხვის პროპორციის კვალობაზე სწავლა განათლების და სხვა კულტურულ საქმეების გასაძღოლად.

ეს მოთხოვნა წამოყენებულია თითქმის ყველა იმ პროექტებში, რომლებიც დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინეს ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებმა.

რუსთა ეროვნულ საბჭოს პროექტის მე 8 მუხლში სწერია: „ეროვნულ თვითმართველობის ორგანოები თავის განკარგულებაში ღებულობენ იმ თანხებს, რომლებსაც გადასდებენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ეროვნულ კავშირის გამგებლობაში მყოფ საჭიროებებზე. ეს თანხები უნდა პროპორციულად უდრიდეს თითოეულ ეროვნების რიცხვს შედარებით მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვთან".

სომეხთა ეროვნულ საბჭოს პროექტით „სომეხთა ეროვნული თვითმართველობა სახალხო განათლების და ეროვნულ კულტურის განვითარების გასაძღოლად თავის განკარგულებაში ღებულობს თანხებს სათანადო სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ბიუჯეტიდან მცხოვრებთა რიცხვის პროპორციის მიხედვით" (მუხლი მე 12).

ებრაელთა პროექტის მე 11 მუხლში სწერია: „ებრაელების ეროვნულ თვითმართველობის ორგანოებს მიეცემათ პროპორციული ნაწილი საერთო სახელმწიფო, საქალაქო და საერობო თანხებიდან".

ელლინთა „სტატუტის" მე 9 მუხლიც მოითხოვს სახელმწიფო და თვითმართველ ორგანოების მიერ თანხების პროპორციულ გამოყოფას ეროვნულ კავშირის საჭიროებისათვის".

როგორც ამოწერილ ტექსტებიდან ჩანს, ზოგი პროექტი მოითხოვს ბიუჯეტის ნაწილს ამა თუ იმ ეროვნების ყველა მოქალაქეთა რიცხვის პროპორციის მიხედვით, ზოგში კი ეს ნათქვამი არ არის, ზოგში გაურკვეველია, ბიუჯეტის ნაწილის გადადების დროს თითოეულ ეროვნულ კავშირის წევრთა რიცხვის პროპორცია უნდა იყოს დაცული, თუ ამ ეროვნების ყველა მოქალაქეთა რიცხვის პროპორცია. უკვე ეს გაურკვევლობა იმის მაუწყებელია, ჯერ როგორი მრავალი რთული საკითხებია გადაბმული ამ საქმესთან და რა ძნელი უნდა იყოს მისი ცხოვრებაში გატარება.

ჩვენ დავინახეთ, რომ სრულიად შეუძლებელია ეროვნულ კავშირისათვის საჯარო უფლებების მინიჭება.

ეროვნულ კავშირში ნებაყოფლობით შესვლა და დაუბრკოლებლივ გამოსვლა იმას გულისხმობს, რომ ეროვნული კავშირი დაახლოვებითაც ვერ იქნება უცვლელი და ჩამოყალიბებული. მისი დამახასიათებელი თვისება იქნება ცვალებადობა: რიცხვი მის წევრებისა ერთხელ ერთი იქნება, მეორეხელ—სხვა, წელს დიდი იქნება, მერმის—პატარა, ან უკუღმა. და მთავარი მნიშვნელობა აქ იმ უცილობელ გარემოებას ექნება, რომ ამა-თუ-იმ ეროვნების პირთა განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი რიცხვი ეროვნულ კავშირს გარეშე დარჩება. ეროვნულ კავშირს რომ მიეცეს მთელი ის თანხა, რომელიც პროპორციონალურად მთელ ამ ეროვნებაზე მოდის სწავლა განათლების საქმის გასაძღოლად, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ სრულებით უსაფუძვლოდ უნდა დასტოვოს მოქალაქეთა ის ნაწილი, რომლებიც არც მთავარ ეროვნებას ეკუთვნიან და არც რომელსამე ეროვნულ კავშირში მოინდომებენ ჩაწერას. მაგრამ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც საყოველთაო იძულებითი სწავლა უნდა იყოს განხორციელებული, ის პირდაპირ წარმოუდგენელი და დაუშვებელია.

ბიუჯეტის ნაწილის ამნაირი გამოცალკევება არა მარტო სახელმწიფოსთვის არის, არამედ თვით ეროვნულ უმცირესობას მიაყენებდა დიდს ზიანს. დემოკრატიულ სახელმწიფოს სწავლა-აღზრდის საქმეს საფუძვლად მიაჩნია დედა ენა და აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, რომ ყველა ბავშვები დედაენაზე სწავლობდნენ. ბიუჯეტის ნაწილის გამოცალკევება და ეროვნულ კავშირის სრულს განკარგულებაში მიცემა კი იმ შედეგს მოიტანს, რომ იმათი ბავშვები, ვინც ეროვნულ კავშირში არ ჩაეწერება, ისწავლიან არა თავის ენაზე, არამედ იმ ერის ენაზე, რომელიც სახელმწიფოში უმრავლესობას შეადგენს. მაშასადამე, უნებურად მოხდება ამ ნაწილის დენაციონალიზაცია, რაც, ეჭვი არ არის, არც იმ ერისთვის არის ხელსაყრელი, რომელიც საშუალებით დამკარგავს კავშირის გარეთ დარჩენილ ნაწილს.

დღევანდელ პირობებში მიუღებელია ისიც, რომ თითონ სახელმწიფო ყოველ ეროვნების სწავლა-განათლებაზე ხარჯავდეს უთუოდ ბიუჯეტის იმ ნაწილს, რაც პროპორციულად ერგება მას რიცხვის მიხედვით ეს საზარალო იქნება ჩამორჩენილ ეროვნებისათვის. დემოკრატიული სახელმწიფო მოვალეა, რაც შეიძლება მალე განახორციელოს საყოველთაო სწავლა და ამ განხორციელების პროცესში შესაძლებელია მას დასჭირდეს ბევრად უფრო დიდი თანხის დახარჯვა იმ ეროვნებისთვის, რომელიც სწავლა განათლების მხრივ ჩამორჩენილია, მაგრამ, რომელსაც პროპორციულად ნაკლები თანხა ერგებოდა. და პირიქით, შეიძლება მან რამდენიმე წლის განმავლობაში პროპორციულად ნაკლები თანხა დახარჯოს იმ რაიონს, რომელშიაც სწავლა-განათლების საქმე წინ წასულია. შეიძლება, მაგალითად, ბორჩალოს მაზრის მუსულმანების სწავლა განათლებაზე სახელმწიფოს პროპორციულად ბევრად უფრო დიდი თანხის დახარჯვა მოუხდეს, ვიდრე ოზურგეთის ან ქუთაისის მაზრის ქართველებზე ან კიდევ გერმანელებზე. თავის თანხების საჭიროებისამებრ განაწილების უფლება სახელმწიფოს ვერ წაერთმევა, თუნდაც უმაღლეს ეროვნულ „სამართლიანობის" სახელით. თუნდაც რომ მოვინდომოთ ამ სამართლიანობის განხორციელება, არ უნდა დავივიწყოთ ის უსამართლობაც, რომელიც წარსულში ჩადენილი ყოფილა სწავლა განათლების მხრივ ჩამორჩენილ ერების წინაშე. ყოველ ერისთვის ბიუჯეტის პროპორციულ ნაწილის ხარჯვის წინააღმდეგ პრინციპიულად არა ითქმის რა, მხოლოდ ამაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ყველა ერებს დაახლოვებით მაინც ერთ ნაირ დონეზე აეწევა სწავლა-განათლების მხრივ

ლ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

ვისაც ბევრი მიწები აქვს. ასეთები იშვიათი მოვლენაა ჩვენში. არის აგრეთვე ისეთი, რომლებსაც მთავრობის კომისიამ ჯერ კიდევ ვერ ჩამოართვა მიწები მრავალწლიანი ხელის შემშლელ პირობების გამო) თხოვნით, რომ ის მიწები, რომელთა დამუშავება თავისი ხელით ან დაქირავებული მუშის საშუალებით არ ძალუძთ თვით მიწის პატრონებს, გადასცეს კავშირს დასამუშავებლად; კავშირი კი თავიანთ წევრებს შორის განაწილებს მიწებს უფრო სამართლიანად და სულადობის მიხედვით ისე, რომ ერთს არ შეხვდებოდა ძალიან ბევრი მიწა და მეორეს ძალიან ცოტა. მიწის პატრონი ამით არაფერს აგებდა, ვინაიდან კავშირთან საქმის დაჭერით ის უფრო მოგებული რჩებოდა, ვიდრე ერთს კაცთან. ამასთანავე კავშირი წესდების ერთი ერთი მუხლით აღუთქვამდა მათ, რომ კავშირის გამგეობა სასტიკად თვალყურს ადევნებს მუშის მიერ მიწის დამუშავებას, რათა ეს უკანასკნელი ხელშეკრულების წესიერად, სინდისიერად და თავის დროზე; უკეთუ კავშირი შეამჩნევს თავის წევრს არა კეთილსინდისიერებას, მას მიწას სულ წაართმევენ და მიწის პატრონობას მეორეს უფრო კეთილსინდისიერს მუშას მისცემსო. კავშირმა დაადგინა აგრეთვე მისცეს მიწის პატრონს მესამედი მოსავლისა და არა მეხუთედი, როგორც ამას ამახინჯებს გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტი. კავშირსაც უნდა, რომ ამის შემდეგ მიწის პატრონები არ წინააღმდეგობდნენ მის ასეთს სამართლიანს თხოვნას და მეზობლურ ხელს გაუწვდიდნენ კავშირს. მუშებს არ ეგონათ, თუ ასეთი კავშირის დაარსება უკანონობად იქნებოდა აღიარებული, ვინაიდან კავშირები ქალაქის მუშებშიც არის. კიდევ ძველი რეჟიმის დროსაც არსებობდნენ არტელები, რომლებიც იჯარით იღებდნენ სამუშაოს და ერთიერთ შორის შრომის ფასს თანასწორად იყოფდნენ. ამით ხომ სამუშაოს მიმცემი, არტელის დამქირავებელი კერძო პირი იყო იგი, თუ სახაზინო დაწესებულება ოდნავადაც არაფერს არ აგებდა და არც არავის უცვნია ასეთი არტელები უკანონოთ. დემოკრატიული რესპუბლიკის კანონებიც უზრუნველჰყოფდნენ კავშირების არსებობას და თავისუფლებას და ერთხელაც არავის არ მოსვლია თავში, რომ ასეთი კავშირების დაარსება იქნებოდა ღალატი დემოკრატიულ რესპუბლიკისა, როგორც ამას ბრძანებს ეროვნულ დემოკრატების ორგანო „საქართველო" № 73 მთავრობის ინსტრუქციის პროექ. კავშირების შესახებ, რომლისაც გვეცანით შრომის კომისართან, პირდაპირ ამბობს, „რომ „პროექ. კავშირი აძლევს მუშას დამქირავებელს". და სწორედ ასეთი პრინციპის აღიარებისათვის ეროვნულ დემოკრატებმა დააყენეს კანონის გარეშე სოფლის მუშათა კავშირები. ადვილი გასაგებია, თუ რისთვის ეძებენ უკანონობას მიწის მუშათა პროექ. კავშირების მოქმედებაში ეროვნულ დემოკრატები, რისთვის სცდილობენ მუშათა კავშირების. დაარსება არა-ჩვეულებრივ, ანარქიულ და ბალშევიკურ მოვლენათ მოაჩვენონ საზოგადოებას.

მაგრამ ამაზე ჩვენ ვიტყვით ქვევით. ჯერ კი საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ კავშირმა ამოსწურა ყოველნაირი საშუალება, რათა მოლაპარაკებით, მეზობლურათ მოეწყოთ საქმე მიწის პატრონებთან. კავშირმა რამოდენიმეჯერ მოიწვია თავის წევრთა და მიწის მეპატრონეთა შეერთებული სხდომა, სადაც აუხსნეს მიწის პატრონებს კავშირის მიზანი და დანიშნულება და აღუთქვეს, რომ უკეთუ მიწის პატრონები კავშირს შეუთანხმდებიან, კავშირი მათ ყოველნაირ დახმარებას აღმოუჩენს და დღიურ მუშებსაც შეღავათიან ფასებში მისცემს. ყველა მიწის პატრონებმა იცნეს სამართლიანი მოთხოვნა კავშირისა, ყველა დაეთანხმა კავშირის წინადადებას გარდა 5 კაცისა, რომელთაც ძველი თავადა აზნაურული სიამაყე და ჯიუტობა არ მიუტევებდათ. კავშირი დარწმუნებული იყო, რომ ამ 5 კაცსაც დაითანხმებდა, მაგრამ მათთან გაჩნდა ეროვნულ დემოკრატების ლოტბარი ილარიონ ძლენტი, რომელმაც დაარწმუნა ისინი, რომ კავშირები მათ საკუთრების წართმევას უპირებენ, გამაგრდით თქვენ 18 ქვეყანაში, არავის დაანებოთო და სხვა... ამნაირად კავშირის მიერ დაწყებული და მოწყობილი საქმე დაანგრია და შფოთი და შური დასთესა ბ-ნმა ილარიონ ძლენტმა და არა ქალაქის თავმა და მისმა მეუღლემ, როგორც ამბობს „საქართველოს" კორესპონდენტი, ვინმე დათიკო მესხი, რომელიც თვითონ თბილისში სცხოვრობს და იქიდანვე თელავის წერილით კორესპონდენციებს აცხობს.

ნადიკვდა გორიჯვის ახალი გალდავაძისა.

(დასასრული იქნება).

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ

ბიულეტენი № 6.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავარ ბიუროში შემოვიდა: ღვინო-გასტრონომიულ და საბაკალეო მოვაჭრეთა კავშირისაგან—4980 მ. არჩილ რუხაძეს მიერ შეგროვილი 20,000 მან., ივ. გომართელის მიერ შეგროვილი—46,280 მ., ნ. ქართველიშვილისაგან რუსთაველის სახელობის მე-3 სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი 1,033 მან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში შეგროვილი—3,000 მან., მღებავთა ცეხისაგან—250 მან., ბ. ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი—25,000 მან., ბორჩალოს მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა კომიტეტისაგან—18,189 მან 75 კაპ. გორდისის ქალაქის, გამგეობის მიერ გადმოგზავნილი არჩ. ჯაჯანაშვილის ხელით—86,288 მან., რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი ქ. ყიფიანის ხელით—38,096 მან., გაზ. „სახალხო საქმის" მოსამსახურეთაგან შეგროვილი—460 მან., გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში შეგროვილი—3,300 მან., არჩილ ელიზბაროვისაგან—300 მან., აბანოებში მომსახურეთა პროფესიონალურ კავშირისაგან—11,800 მან., გაზ. „ერთობის" რედაქციისაგან სხვადასხვა პირთა შორის შეგროვილი—188,000 მან., მარკუსის მიერ შეგროვილი—1,000 მან., სამტრედიის დაბალ და მაღალ დაწყებითი რკინის გზის სასწავლებლების გამგესაგან ვარლამ ვაჩნაძის მიერ შეგროვილი—22,992 მან., 50 კ., ოჩამჩირის მაღალ დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსაგან—21,000 მან., მექუდეთა ამქარის მამასახლისისაგან ბ. მაისურაძისაგან—770 მან., ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოების „ნახშირი" საგან—10 000 მ., სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარისაგან ბ. ბურჯანაძისაგან—40 648 მან., დუშეთის მაზრის გორის დამხმარე კომიტეტისაგან—27,000 მანეთი, პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ საბჭოს სეკრეტარიატისაგან—93,532 მ. 19 კაპ., თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გუნდის გამგეობისაგან—462 მან., თბილისის პროფესიონალურ კავშირის საბჭოსაგან—192,951 მან. 27 კ. ქ. ხახანაშვილისაგან და კასრაძის ლექციიდან შემოსული—1,750 მან., ვაჟარიწყალთა მთავარ კომიტეტისაგან—4,200,000 მან., მე-9 უბნის კომისარისაგან მის მიერ გამართულ საღამოს შემოსავალი—8,288 მან. 50 კაპ., სოფელ ბუწაშენის მღვდლისაგან—109 მან., ქალ. დაწესებულებათა და ფაბრიკათა შორის შეგროვილი ეფ. ჩიხენაშვილის ხელით—61 597 მან. 50 კ., რესპუბლიკის სახელმწიფო კანცელარიაში შეგროვილი მოსამსახურეთა შორის—675 მან., სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარისაგან—14,255 მან. 50 კ., ღვინო გასტრონომიულ და საბაკალეო მეწარმეთა კავშირისაგან—1,025 მან., ახალქალაქის სამაზრო დამხმარე კომიტეტისაგან—17,743 მანეთი, სულ—5,167,377 მან. 21 კაპ., წინათ შემოსულით—7,802,433 მან. 14 კაპ.

რკინის გზაზე

ერთი განკარგულების გამო.

17 აპრილს ექსპლოატაციის უფროსმა ბ. აბდუშელიშვილმა გასცა მთელ საქ. სახაზინო რკინის გზებზე ცირკულიარული დეპეშა № 1349, რომლის ძალით არც ერთი მოსამსახურეს ხსენებულ (ექსპლ.) დარგისას, არა აქვს უფლება ნებადაურთველად წავიდეს სადგურიდან. მათ წერილობითი ნებართვა უნდა მიიღონ პირდაპირ უფროსისაგან; მაგალითად: სადგურის უფროსმა უნდა მიიღოს ნებართვა ექსპლოატაციის რევიზორისაგან, ხოლო სადგურის უფროსი აძლევს ნებართვას თავის ხელქვეით მოსამსახურეებს. ეს ყველაფერი საჭიროც არის და დასაშვებიც, მაგრამ ამ განკარგულების გამო უკიდურეს მდგომარეობაშია ჩაყენებული ტელეგრაფის დარგი. ხსენებულ დეპეშის თანახმად ტელეგრაფის მოხელემ უნდა სთხოვოს ნებართვა იმავე სადგურის უფროსს, რომელთანაც ის არავითარ არ არის დაკავშირებული არც ტეხნიკურად, და არც ადმინისტრატიულად. შეიძლება აბდუშელიშვილს ეგონოს, რომ ტელეგრაფის შტატი ისევ ექსპლოატაციის აგენტების მეთაურობით იმყოფებოდეს, როგორც ეს იყო რამოდენიმე კვირით ამ 4 თვის წინათ, რამაც საზიზღარი ანარქია გამოიწვია ამ დარგში და რის გამოც 12 დეკემბერს 1919 წლისა იყო მოწყობილი ყრილობა ტელეგრაფის გამგეებისა და სექციურ წარმომადგენლებისა. ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა თვით ბ-ნი აბდუშელიშვილი და მისივე წინადადებით ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: „დადგენილ იქნას კონტროლიორი მეხანიკები ძველ უფლებებით და ტელეგრაფის შტატი გადაეცეთ მათ". ასეთი დადგენილების შემდეგ ბ-ნი აბდუშელიშვილი ვალდებულია ხელს ტელეგრაფის მოხელეთ ნებართვისათვის მიმართოს სადგურის უფროსს. ცხლა განკარგულებით რამდენად შესასრულებელია ეს ტეხნიკურად: სადგურის უფროსი ვერ დაართავს ნებას ტელ. მოხელეს, თუ უკანასკნელის თხოვნაზე არ იქნება დასკვნა ტელეგრაფის გამგის და კონტროლიორ მეხანიკისა. სანამ თხოვნა ხსენებულ პირებს გაივლიდეს, დაჯვიანდება უკანასკნელი 24 საათი მაინც. (ვინაიდან კონტრ. მეხანიკის და სადგურის უფროსის კანტორებში სწარმოებს მუშაობა მხოლოდ განსაზღვრულ დროში) სადგურის უფროსს კი ეძლევა 12 საათზე მეტი დროით გაუშვას მოსამსახურე. ასე რომ, ტელეგრაფის მოხელემ, რომ მიიღოს 12 საათის თავისუფლება, ამისათვის მან 24 უნდა იცადოს. ამ დროში მეორე მორიგეობაც მოუწევს და ამგვარად მას სრულიად ესპობა საშუალება, თავისუფლების დროს ისარგებლოს ასეთი ნებართვით. გარდა ამისა, მრავალი ასეთი მაგალითებია, რომლებიც ტელეგრაფის მოხელეს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში; მან არ იცის ვის ემორჩილება,—კონტროლიორ მეხანიკს და ტელეგრაფის გამგეს, თუ სადგურის უფროსს. ვინაიდან მთავარი ადმინისტრაცია სიტყვით უმორჩილებს პირველებს, მხოლოდ საქმით კი მეორეს, და ეს სამართლიან უკმაყოფილებას ჰბადებს მათში. ამისათვის საჭიროა მიექცეს ამას ჯეროვანი ყურადღება.

ჩვენის აზრით საჭირო იქნება, გაიცეს დამატებითი განკარგულება, რათა ტელეგრაფის მოხელეებს ეძლეოდეს ნებართვა მისი პირდაპირი უფროსის კონტროლიორი მეხანიკის და ტელეგრაფის გამგისაგან. ეს საქმისთვისაც სასარგებლო იქნება და მოხელეებისთვისაც.

ვინე.

ს.-დ. პარტიაში

ოზურგეთი. 6 აპრილს შესდგა ოზურგეთის რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წინა სხდომის ოქმი. მანვე მოისმინა კოლექტივის პრეზიდიუმის მოხსენება, რომლიდანაც შემდეგი ირკვევა: რაიონი შესდგება რამდენიმე ერთეულებიდან, წევრთა რიცხვი თვალსაჩინოა; სწარმოებს ინსტრუქტორული მუშაობა, დროგამოშვებით იმართება პარტიული და საჯარო კრებები, სადაც მოხსენებები კეთდება სხვადასხვა საპირბოროტო კითხვაზე პრეზიდიუმის მიერ შეძენილია და ერთეულებზე უკვე დანაწილებულია საწევრო ბარათები, პარტიული მარკები და სარეგისტრაციო წიგნები (ახალი სისტემის). ამრიგად, მთელი რაიონი უკვე მოწყობილია მსგავსად ჩვენი პარტიის თბილისის ორგანიზაციისა.

კრებამ მოისმინა გურიის კომიტეტში ამხ. სვით დლონდიანის მოხსენების მთელი შინაარსი. საერთოდ მოიწონა ის და სრული კმაყოფილებით და ნდობა გამოუცხადა ხელმძღვანელ ამხანაგებს.

ქალაქის განაპირა უბნების წარმომადგენელთა განცხადების თანახმად მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: აღიძრას გურიის კომიტეტისა და ცეკას საშუალებით შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რათა ქალაქის მცხოვრებთ, რომლის დიდი ნაწილი ეწევა სასოფლო მეურნეობას, მიეცეთ სახნავი მიწა საერთო წესით.

ვახო.

ბორჯომი. 14 აპრილს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის ბორჯომის კოლექტივის და ქვე კოლექტივის წარმომადგენლების შეერთებული კრება. განარჩევი იყო: 1) გორის მაზრის 18 აპრილის კონფერენციის შესახებ, 2) საწევრო გადასახადების შესახებ.

კრებამ არჩია შემდეგი პირნი კონფერენციაზე დასასწრებლად: 1) ქ. შანხაზარიძე, 2) ა. კაპანაძე 3) გ. სირაძე, 4) გ. კილენჯერიძე, 5) ვ. ზაქრაძე.

საწევრო გადასახადის შესახებ კრებამ დაადგინა 1 აპრილიდან საწევრო გადასახადი გადიდდეს თვიურად ხუთი მანეთამდე. წევრად ჩაწერის დროს შესასვლელად დაწესებულ იქნას 25 მან.

ა. დუნხაძე.

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირებში.

20 აპრილს შესდგა ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირის გამგეობის სხდომა. განარჩევი იყო შემდეგი საკითხები: საკონფლიქტო, სამეურნეო, სარევიზიო, უმუშევართა, კულტურულ განმანათლებელი კომისიის არჩევა, წარმომადგენლების არჩევა პროფესიონალურ კავშირების საბჭოში. გაზეთ „მუშათა ცხოვრების" გავრცელების საკითხი. ზედმეტი საათების მუშაობის შესახებ (საინჟინრო სახელოსნოში). საკონფლიქტო კომისიაში აირჩიეს: ახალბედაშვილი, ს. ლაცაბიძე და ანთიძე. სამეურნეო, სარევიზიო და უმუშევართა კომისიის ფუნქციები დაეკისრა პრეზიდიუმს, რომელსაც უფლება ეძლევა ფართო კოოპტაციის საშუალებით მცოდნე პირების მოწვევა. კულტურულ განმანათლებელ კომისიაში აირჩიეს: მემარიაშვილი, კოვალსკი, ჯანაშია. პროფესიონალურ კავშირების საბჭოში წარმომადგენლად აირჩიეს ლაცაბიძე, ახალბედაშვილი. მათ კანდიდატად მამალაძე. გაზ. „მუშათა ცხოვრების" გავრცელება მიენდო კულტურულ-განმანათლებელ კომისიას. ზედმეტი საათების სამუშაოს საკითხი გადაეცა პრეზიდიუმს მოსაწესრიგებლად.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. 20 აპრილს შესდგა საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს სხდომა. კახეთის ეროვნულ მამულების მუშების ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ხელაძემ, რომელიც ამ საქმისათვის სპეციალურად გაგზავნილი იყო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ კახეთში. კომიტეტმა შესაძლებლად იცნო აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მუშებს ჯამაგირები გაუდიდდეთ 2 ათას მანეთამდე, აგრეთვე მოეწყოს სურსათის მოწოდების საქმე, იმავე პირობებში, როგორც ეს ეძლევათ აქ მუშებს. რაც შეეხება მუშებს და მამულების გამგეებთან მომხდარ კონფლიქტებს, კომიტეტი აღნიშნავს წინანდელი მამულის გამგის უტაქტო მოქმედებას (გ. რამიშვილის), რომელიც გამოიხატება მუშათა ორგანიზაციების დევნაში და მუშებისადმი უზრდელ მოპყრობაში. გამოირკვა აგრეთვე, რომ მუკუზნის მამულის გამგე თუშმალიშვილიც ასევე ექცევა მუშებს. კომიტეტმა ამის შესახებ დაადგინა: თუ ასეთ შემთხვევებს კიდევ ექნება ადგილი, კომიტეტი მხარს დაუჭერს მუშების მოთხოვნილებას ხსენებულ პირთა გადაყენების შესახებ. მუშათა სახლის შესახებ კრება ადასტურებს წინანდელ დადგენილებას და მოითხოვს მთავრობისაგან, რომ აღნიშნული სახლი გადაეცეს პრ. კავშირთა სრულ განკარგულებაში.

პროვინცია

გორი. გორის სამაზრო ერობის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ერობისთვის შესაფერ ადგილას შეიძინოს 40 დესეტინა მიწა, სადაც გაშენდება სამაზრო ერობის დაწესებულებისთვის სახლი და იქვე მიეცემა დასახლებული ადგილები ერობისათვის საჭირო მუშა-მოსამსახურეთ საცხოვრებელ ბინების ასაგებად კერძო საკუთრების პრინციპზე აგებული, ამასთანავე ერობას განზრახული აქვს თავის მუშა მოსამსახურეთ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ბინის აგებაში, ვინაიდან თუ ერობა არ დაეხმარა, ისე მოსამსახურენი ვერ შესძლებენ ბინების აგებას და თუ ბინები ვერ აიგეს, ვერც შესძლებენ სამსახურსაც.

გორში შესდგა გორისა და დაზარალებული მაზრის აღმდგენი კომიტეტი, რომელშიდაც შედიან: ორი წარმომადგენელი სამაზრო ერობისა, ერთი ქალაქის თვითმართველობისა, ერთი მესაკუთრეთა კავშირისა და ერთიც საკუთრების არ მქონეთა კავშირისა, რომელიც უკვე შესდგა ოფიციალურად მოქმედებას და ითანხმებს გორის სამაზრო ერობასთან.

„ჩრდილოეთის ქართველთა" მოგზაურმა ელემენტებს ფრთა შეასხა და უკვე გააძლიერეს თავისი „საქმენი საგმირონი" გორის მაზრაში. საჭიროა ფხიზელ თვალყურის დევნება და სასწრაფო ზომების მიღება.

დანგრეულ გორის აღდგენის საკითხი ჯერ კიდევ რკვევის და პროექტების თხზვის პროცესშია, კერძო მესაკუთრენი კი აღარ ითმენენ და ვინ იცის დიდი გეგმის და პლანის გამოცხადებამდის მთლად უგეგმოთ არ დაიწყონ აღდგენა, მით უმეტეს, მუშაობის დროც ახლოა.

მიუხედავად იმისა, რომ გორი დანგრეულია ჟურნალ-გაზეთები მაინც საკმაოთ გადის, მაგ. „ერთობა" 115 ცალი, „ბორბა" 90 ცალი, „სახალხო საქმე" 85 ც. „საქართველო", 20 ც., „ვრუზია" 20 ც. „საქ. რესპუბლიკა" 11 ც. „[illegible]" 3 ც. „ეშმაკის მათრახი" 100 ც., „მათრახი" 100 ც. „თეატრი და ცხოვრება" 15 ც. და სხვ. წიგნებიც.

15 აპრილს საღამოს 8 ს. გორის საოლქო შტაბის კულტურულ სექციის ინიციატივით გამართულ იქნა უფასო საღამო. პირველად მოყვარულთა ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილ იქნა თანამედროვე დრამები, მეორე წარმოდგენილ იქნა „ნამუსიანი ხალხი" ვოდ. 1 მოქ. ი. იმედაშვილისა, მესამედ დადგმულ იქნა „ტიმოთეს ლედები" ვოდ. 1 მოქ. გრიშაშვილისა. დივერტისმენტი, მუსიკა ი. ქურხულის მიერ. სცენა გამართული იყო გორის საოლქო შტაბის სახალხო გვარდიის „რეზერვის" ეზოში გარდა გვარდიელებისა, აუარებელი გარეშე ხალხი დაესწრო და ძლიერ კმაყოფილიც დარჩა, საჭიროა ხშირად იქნას გამართული ასეთი საღამო წარმოდგენები, თორემ ხალხი სრულიად მოსწყდა კულტურულ საზრდოს მიწის ძვრის გამო.

გორის სამაზრო ერობამ დიდი-ძალი სათესლე ქერი დაურიგა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ და ღარიბ სოფლებს.

X.

ქ. ახალციხის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ ამა წლის 17 აპრილს მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის აკაკი ჩხენკელისა თანამედროვე მომენტზე და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკაზე, ადასტურებს ყოველივე ნაბიჯებს მთავრობისას და ღრმათ სწამს, რომ ბედსა ჩვენი დემოკრატიისა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია უშიშრად და უშეკავებლად გაიყვანს ჩვენს ხალხს კულტურისა და აღორძინების გზაზე. აგრეთვე კრება გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველივე ზომებს მიიღებს ჩაჰქრეს ის არა მეზობლურ რესპუბლიკათა შორის ატეხილი ბრძოლა, რომელსაც აქვს ადგილი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის და რომელიც დიდ საფრთხეში აყენებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. კრება წრფელ სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის უზენაეს ნების გამომხატველ დამფუძნებელ კრებას, მის მიერ არჩეულ დემოკრატიულ მთავრობას, რევოლუციონურ გვარდიას და სახელოვან დემოკრატიულ ჯარს. დასასრულ კრება გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ბათომის ოლქი და თვით ბათომიც დაუბრუნდება სრულიად საქართველოს, როგორც მისი განუყრელი ნაწილი. აღფრთოვანებული თუმცა არა-ოფიციალური ცნობით, რომელიც გამოქვეყნებული იყო პრესაში ბათომისა და მისი ოლქის საქართველოსათვის გადაცემის შესახებ, კრება იმედოვნებს, რომ ეს ცნობა მალე სინამდვილედ გადაიქცევა.

კრების თავმჯდომარე მ. მიქელაშვილი, მდივანი ბ. ცერცვაძე.

განცხადებანი

ექიმი
გენრიხ ისაკის ძე ვოლოხი
ლეჩულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებებით ავადმყოფებს დილით 1—3 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიჰელის), ტელეფონი 7—38.
(1304 25—2)

დოქტორი
ვ. გ. მეგრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და სხვ. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1350 25—1)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი („შეშხაპუნებით „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(1343 25—1)

თბილისში
პროფესორი დოქტორი მედიცინისა
ვ. გ. მოსეშვილი
გადავიდა გოლოვინის ქუჩაზე ა. ი. არჯევანიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მიღება შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფთა დილით 12—1 ს, საღამოთი 5—8 საათამდე.
(1337—25—1)

ექიმი
კ. გ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საზოგადოების პირდაპირ.
(1323 25—2)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(1255 48—5)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად: სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და შარდის ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქუჩა № 33.
(1288 25—3)

კბილის ექიმი
ე. თ. დოლის-მელიქოვი ჯიბლაძისა
და მისი ასისტენტი მ. ა. დიდიძე იღებს კბილით ავადმყოფებს: აკეთებს ხელოვნურ კბილებს, ასწორებს უსწორ-მასწორო კბილებს. ავადმყოფებს მიიღებს დილის 10—3 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63.
(25—5)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. ლერმონტოვის ქუჩა № 12, ალექსანდროვის სავაჭრო ბაღის პირდაპირ.
(1324 —ო.)

ექიმი
სოლომონ ისაკის ძე გოლდმანი
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბებუთის ქ. № 5.
1303—25—3)

მედიცინის დოქტორი
ივ. ღუღაძე
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მეჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5 პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში.
(1259—34—5)

ოზურგეთში
ექიმი **აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების ელექტრო ანალიზით „ტუბერკულინით" და „ლუეტინით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში.
(კუპ. 386.)

ექიმი დ. ბ. ხარაბაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 34 აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი
მ. მ. ალფაევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საზებით ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი
ნ. დ. ცურიაშვილი
იღებს ქალურ და საზებით სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ 1—3 და საღ. 4—5 ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის ახლო ტელეფონი 14—13.
(1325—25—2)

კერძო საავადმყოფო
ყოველნაირ ავადმყოფთათვის
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირპიჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 იღებს 8—3 ს. ვენერიულ: სიფილისით და კანის ავადმყოფებს მიღება აგრეთვე საღამოთი 4—7 ს. ღარიბებისათვის უფასოთ დილ. 8—11 ს. საავადმყოფოში ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები:
ი. კ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ბ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვთა სნეულ.
ნ. ნ. ჯავახიშვილი ნერვებ. და ფსიხიატრია.
ა. გ. მადლიშვილი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.
ა. გ. მაჩაბარიანი—[illegible] (გინეკოლოგი) სნეულ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. თოფურიძე—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალების სნეულებ.
ე. ლ. შალამბერიძე—ქირურგი სნეულ. (ქალების და მამაკაცების).
საავადმყოფოში სწარმოებს: კონსილიუმები, ოპერაციები, ელექტრიზაციები, ყვავილის აცრა, კანს ქვეშ სხურება მარილი, შეშხაპუნება „606" და „914". აგრეთვე მიღება მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.
(ნ. 25—2)